# ცისკარი

**1858** #2

ფებერვალი. წიგნი მეორე

თბილისი

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

ლექსები:

ლაშქრობა ქართველთა კავკას-ზე. კნ. ნ. ბარათოვისა.

ჩვავი. . . . . . . . . . . . . . . კნ. ა. ჭავჭავაძისა.

გალობა სიტურფისა. , . . . . . კნ. ნ. ბარათოვისა.

ჩვილი. . . . . . . . . . . . . . . კნ. ნ. ბარათოვისა.

მჭედლის სატრფოს. . . . . . . . რაჩმამესი.

ზამთრის შემოლამება. . . . . . თ.

ფიალა. . . . . . . . . . . . . . . თ.

პროზა:

აღსასრული ქრისტჱნისა. . . . . . . . . თ.

მეფე ერეკლე მეორის განჩინება.

სამგზავრო წიგნები. წიგნი მესამე. . ივ. კერესელიძისა.

მკითხველთადმი. . . . . . . . . . . . ალ. სავანელისა.

სხჳა დ̃ სხჳა ამბავი. (ნახ. მეორე გვერდ.)

# ლექსები

## ლაშქრობა ქართველთა კავკას-ზე

ძრწოდე კავკასო! ახლა არს დღე შენის აღსასრულისა!
შეთქმულან შენ-ზე ერთ-პირად ძენი ქართლისა სრულისა:
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სჯულისა!

ქართლიდგან მოვალს მარადის მამულის მხსნა დამფარი,
წინ ერისთავი მოუძღვის, მიწასა გააქვს ზანზარი!
კავკასო, ქართლის საფლავ-ზე არიან გაფიცებულნი,
და მათ წინ ვერდა დაუდგნენ ვერც მხნენი შირვანელ რჩეულნი!

სომხეთით მოჰსწყვეს სასარდლო მკლავდგან სახელ-განთქმული!
მას-შიგან ჰბრუნავს ცხოველად დავით სარდლისა კვლავ სული!
ჵე დაღისტნელნო! სომხეთის კედელნი თქუენგან ნგრეულნი,
მას მეთა თქუენის თავებით ჰყონ ახლად აღშენებულნი!

კავკასო, აჰა კახნი-ცა, შენ-ზე გულ ამღვრეულები;
მეფის ირაკლის განწვრთნილნი, გმირებად დასახულები!
ნუ ჰგონებ, აღხოცილ-იყვნენ მათ შორის მკველნი მამაცნი:
ყოველსა დაშთა შვილები, საშვილის-შვილოდ კაჟკაცნი!

ნაყუნჯნი უმანიც მეფისა, თუშებო მოუღლავნი,
ჰსდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი ცხვართა მდადავნი!
თქუენი ჯირიმე, თუშებო, ბიჯობა თქუენი ქებულა,
მახვილი თქუენი მარადის დაღისტნელთ ქედ-ზე ლესულა!

ამ გმირულს ჯარსა ერთობრივ ჰყავს ღირსი წინა-მძღომელი,
მან თავი დაჰსდვა სპათა-თჳს, სახელითა ჰქმნა სახელი;
და საკადრისად გვარისა გამოჩნდა ნამდვილ ქართველად:
მტერთ სიხარულით შებმან მჭვრეტელთა საოცნებელად!

გაჰკაცხო, ძრწოდე! შეირყა ჩვენიც დასამხობელი!
ვის არა აღეტაცების სული ამ ამბვის მცნობელი?
ჰე ძმანო, ნუ თუ არ გესმისთ მეფის ირაკლის ხმა
მაღლით?
გიხმობთ: «ქართველნო, ჰეი, შაბაშ! გკურთხევა თქვენ-
და ზე-მაღლით!»

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა
წინაპართა:
იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაჲ დამართეთ წარმართთა!
აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა,
და გვიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსახსენოსა!

კნ. ნ. ბარათოვი.

---

## ზვავი

(პუშკინით.)

ჩვირთნი ჴმოვანნი, აღქაფებულნი,
შავთ კლდეთ ებრძვიან, ზე-ემსხვრევიან;
არწივთ ყრიყინი, ქარიშხალთ ქროლა,
ერთად რეულად, მაღლით გვესმიან....
და ნისლთა შორის, ზღვებრ მღელვარეთა,
ვჰხედავთ მთათ წვერთა მოელვარეთა.

ჟამს ერთს მყინვარ-გან გლეჯილა ზვავი,
საზარის გრგვინვით ქვეშ ძვეთებულა,

და ორთა მთათა-შორის, მათ იწრო სიღრმეს,
მირიათ თხემამაღლე მათ აღგებულა,
და თერგის ზვირთთა ძლიერი დენა
შეყენებულა....

თერგო მძვინვარევ, მაშინ მშვიდ-იყავ,
განდიდებულობით კმა განგწყვეტოდა,
მარამ უკანით ურიცხვთა ზვირთთა
მაღლი მდევარი მარჯვედ გსწრებოდა,
და მას ლაშქარსა
მყის განგმგლიჯა თოვლის ჩდუდენი,
და შენ გამწყრალსა
ხრულად დაგენთქო შენნი კიდენი.

შემდგომ ეს ზვავი, ესრეთ განაგლეჯი,
ხან-გრძლივ დებულა უდნობლად ზვავად,
და თერგი შმაგი მის ქუეშ დენილა,
შხაპსა და ქაფსა ჰსცემდისო ძუალად
თვის-ზე დგმულს ყინულს,
ჯამარად შეკრულს.

მას ზვავ-ზე ჯართო შარა ყოფილა,
ცხენთ ურბენიათ, ხართა უბიჯავთ,
და ვაჭრებისაც ქარავანთა ზურგით
ტვირთნი მძიმენი გარდმოუზიდავთ, —
მუნ, სადაც ეხლა ის არე-მარე
მხოლოდ ცივს ჰაერს და ქართ ჰშოვნიათ...

კნ. ა. ჭავჭავაძე.

## გალობა სიტურფოვისა

შევიმკობ ცრემლსა ჯირით მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმელსა,
შევჰსწირავ სატრფოს — ჩემს სალოცველსა.

მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წამწყმედი, მაცხონებელი,
განმაბრძნობელი, გამხელებელი.

ვითარ ვარდიდ სიტურფის ღმერთა:
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჭი ქუეყნად
და, თავის მკობად, ჰქმნა იგი მგოსნად.

კნ. ნ. ბარათოვი.

---

## ჩვილი

მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურის მისის ხმის,
როდეს იგი ენითა სასუფევლის
ეალერსების წიაღთა თვისის მშობლის.

მის სოფელი უზრუნველობით შენობს,

ვარდა ღელის ალერსისას არ ძას ჰგრძნობს;
ნებივრობით და ღიმილით სულ-დგმულობს;
ყოველს-ავე შეუპოვრად მჭვრეტელობს.

არა ფიქრობს იგი თავის ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას,
იგი თავის სანუკველითა შობით
ამუნათებს თჳსთა მშობელთ პირ-იქით.

იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკებ ვიდრე ჟამი გიდარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომქცევარი...

ვნ. ნ. ბარათოვი.

---

## მეელის სატრფოს

სატრფოვო, ჩვენც სიყვარული ერთხელა გვიზაბხულებდა,
გვათბობდა, გვაფუფუნებდა, რა ერთხელ დაგვიბულებდა.

ბედნიერნი დღეთა ვერ დაჰხსოვდის, ვინც ეშხის ზღვა-ში არს ფლული:
ჰაზრი, გრძნობა და გონება გრძნების მახე-ში აქვს ბმული.

ჩუენ-ცა ამ გვარად მოცულთა ვერა შევნიშნეთ დღეთ დენა,
ჵ ძნელიც არის საყვარელთ ამ გვარ საქმისთჳს მოცდენა.

დაგვშთა ჩუენ ოდენ გიოცოთ წარსულთა დღეთა ტკბილობა,
ჩუენისა გაზაფხულისა საყვარელთ ყვავილთ შლილობა.

იქნება მართალ ჰსტიროდე, რომელ წარსულსა შუენებას
ვეღარ ჰპოვებდე, ჰსჭმუნავდე, ჰყვედრიდე აწმყო-დროებას?

მაშა ისწრაფე, მოვედი, შთახედე ამა ჩემს გულსა, —
მუნ ჰპოვებ შენსა შუენებას, ტრფობის კელითა ხატულსა,

ვით პირველ თუალთა გიხილეს, იმავ შუენებითა სახულსა,
ერთგულებისა ჩემისა ფარდისა ქუეშე დაცულსა.

კნ. გ. ერისთავი.

---

*
* *

ღამეს ბურვიან მთიებნი ნაზნი,
ტფილისს ჰსჭვრეტენ მნათნი ლამაზნი.

შორის ციურთა მნათთა ღამისა
აღემატების სხივი მთვარისა.

არამედ იგი, ვის ვერ შევჰკადრებ
ჩემის ენისა ქებისა მნობას,
დიდებულსთა გავსილ მთვარისებ
შორის დიაცთა მხოლოდ ელავს.

ვითარ ციურის ახოვნებითა
ვალს დიდებულად ჰაეროვანი;
რავდენ სასვე აქჳს სიტკბოებითა
ნატიფი მკერდი სანდომიანი!

ვით მიმოისვრის ნაზთა გუგათა ელვა-მოსილთა!
ვითარ აშვენებს დაწყთა ციმციმი მისთა ღიმილთა!...

აწ კმარა, ენავ, ჰსდუმენ, ნუ მაღნობ, არა ვარ სადი:
მიგიცემია სიჭაბუკისა უგონო ვალი!

რაზმაძე.

---

## ზამთრის შემოღამება

(გრაფინია როსტოპჩინიდგან.)

შავმა ნისლმა მზისა შუქი დააბნელა სიწყუდიადით
შუბლსა გარე კავშანი მომყუხია ღრუბელივით.

არა ეგრეთ მეამების ნელი სიო, მზის სინათლე,
ვითა მქრთალი სხივი მთვარის, ვითა ქარი მოშრიალე.

ხშირად ცისა ჩამოღრუბლვა დამაფიქრებს მხიარულსა;
ხშირად ბნელი დაღამება მეფინება ნაღვლად გულსა.

მაგრამ რის-გან შეეჩვივნენ ფიქრნი ჩემნი ესრეთ სევდას?
ნუ-თუ გლოვა ბუნებისა დაადონებს ჩემებრ ყველას?

ანუ ესე მიუხვედრი იდუმალი ჭმუნვარება
მხოლოდ მე ჩემს საგრძნობლად, მხოლოდ ჩემს გულს ეთვისება?

ჵ იქნება მის-თჳს გულსა კარი ადრე დაცაეხშო,
რომ აქჳს მას-ცა დახავალი ჵ ზამთარი უნუგეშო;

რომ მთიები იმედისა, რომ ვარსკვლავი სიხარულის,
ცხოვრებისა გზასა-ზედა არა დიდხანს მიგვინათის?

არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა,
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავს ღამესა...

გარნა ვინცა მსხუერპლად ჰქმნია სიყვარულსა უიმედოს,
მან გულითა დამჭკნარითა ნუ-თუ ოდეს განიხაროს?

თ.

---

2.

## ფიალა (*)

მიყვარს ფიალა სპეკალი,
ოდეს ღვინის ნაპერწკალი
ნათობს, დუღს, ელავს მას-შიგან
თითქოს ლალის ნათელ-წყალი.

მიყვარან მოწნი ბაგენი,
ეშხით, ღიმილით სავსენი,
და სიყვარულის წყურვილის
კოცნით დამაცხრობელნი.

მაგრამ ბაგესა გამშრალსა,
უეშხოს, ღიმილ-გამქრალსა,
მოწყენით ვუმზერ შორითა,
ვით ფიალას ნაცალსა.

თ.

(*) ეს ლექსი არის გადათარგმნილი პოლშურს ენაზე ლადი-ხაბლოცკის-გან და დაბეჭდილი მის ლექსებ-ში გამოცემულს ლეიბციგის ქალაქ-ში.

# ალსასრული ქვეყნისა

## მოთხრობა

(გარდმოღებული რუსულით.)

### მთარგმნელისა-გან

წინადადებული აქ მოთხრობა ეკუთვნის რუსეთის მწერალს, კამენსკის, რომელიც, ამ ოცის-თხუთმეტის წლის წინად, შემოიტანდა დიდის სიუხვით რუსეთის ლიტერატურა-ში მოთხრობებს საფრანგეთის ცხოვრები-დამ. დამწერს აღურჩევია მას-ში მეათე საუკუნე — იგი საზარელი საუკუნე, რომელსაც მთელი საქრისტიანო იყო აღგზნებული ფიქრით, რო ვითომც იმ საუკუნეს დასასრულ-ში, ესე იგი ათასის წლის გასულს ქრისტეს შობიდამ, უნდა ბოლო მოჰღებოდა სრულს ქვეყანას. ამ დროს არიან წარმოდგენილნი იტალიის ქალაქს ბოლონია-ში, ორნი ყმაწვილნი — კაცი და ქალი, სახელით ჯულიო და

ზიანკა, რომელთაც პატრონობით-ვე ჰყვარებიათ ურთი-ერთი, მაგრამ, სხუა-და-სხუას ანგარიშის-გამო ქალის მამისა, ვერ ჰსწევიან იგინი გულის წადილს, და მხოლოდ მაშინ მიჰსცემიათ მათ ნება შეუღლებისა, როდესაც მოსწეულა უკანასკნელი დღე უკანასკნელის მეათასის წლისა, ესე იგი ვადა ქუეყნის აღსასრულისა. წარმოიდგინეთ, რით გათავდა ეს სამწუხარო ამბავი: მომლოდნენი და თითქმის თვალით მხედველნი ქუეყნის დარღვევისა, რომელსაც თითქოს განგებ წარმოაჩენდნენ სხუა-და-სხუანი საშინელნი მოვლინებანი,—ჯულიო და ზიანკა განვიდნენ სასაფლაოს-ზე, წიად-იდეს ურთი-ერთი, და ასე ცხოველად, ასე თავდავიწყებით მიეცნენ ფიქრსა იმ სოფლის გარდასვლისას საუკუნოს საცხოვრებლად და უკარებად, რო მეორეს დილას, როდესაც გარდაიარა საზარელმა ვადამ, და ქუეყანა ისევ ქუეყანად დარჩა, იქ ჰპოვეს, ორთ მხურვალეთ მიჯნურთ ნაცვლად, მხოლოდ ორი გაციებული და სულ-მიდებული გუამი.—ეს მოთხრობა თავის დრო-ზე იყო კარგად მიღებული რუსულს ჟურნალებ-ში, და ერთს მათგანს-ში იყო კიდეც შენიშნული, რო ბაირონი, ეგრეთვე მდიდარი ლორდი, როგორათაც უპირველესი პოეტი ანგლიისა, ვინ იცის რავდენს ათასს ფუნტს სტერლინგს მიჰსცემდა, რო იმას მოსვლოდა ეს საკვირველი ჰაზრი ერთ-ერთის თავის პოემისა-თჳსა. ჩუენც დავხარბდით და გარდმოვიღეთ ჩუენთა მკითხველთა-თჳს «აღსასრული ქუეყნისა», თუმცა არა წარჩინებულის ჴელოვნებითის ღირსებისა-გამო მისისა, რომელიც

ბევრით ჩამოუვა ახლანდელს ამ-გვარს რუსეთის მწერლობას, არამედ იმ მეცნიერის, მდიდრის და მოსწრობილის ჭაზრის-გამო, რომელ-ზედაც არის დაფუძნებული მოთხრობა, წარმომდგენი ამასთანა-ვე მეტად ცხოველად მაშინდელის საფრანგეთის სურათისა. ვიმედოვნებთ, რო მკითხველნი არა განგვკიცხვენ, ამ გზობით, ამ ნაირის აღწერვისა-თჳს, რომელიც მიჰსცემს მათ მასალას არა მოსწყენის კითხვისას.

თ.

## აღსასრული სოფიოსა

დამდებოდა ქალაქის ბოლონიას, რომლესაც ერთს ვიწროს ქუჩა-ში მოდიოდა დაფიქრებით ახალგაზრდა ქალი. მაღალს ტანს ესხა გრძელი და განიერი შავი წამოსასხამი. მხრებ-ზე ეკიდა აბგა და ხელ-ში ეჭირა გამხმარი ბზა; ფეხები ჰქონდა ამოკრული თასმის სანდლებითა, ყელს ეკერა მძიმე ჯვარიხი და გულ-ზე ეკერა ნაჭრების ჯვარი. სახით ეტყობოდა მას შორი მგზავრობა, ხოლო ტანთ-შემოსილება ცხადად წარმოაჩენდა, რომ იგი იყო პილიგრიმი (მლოცავი), მომავალი პალესტინი-დამ.

დროსა მას კელმწიფე თუ გლეხი თანასწორ აღუ-თქმავდნენ, რომ ერთხელ მაინც თავის სიცოცხლე-ში

ენიდათ წმიდა ქალაქი იერუსალიმი და თაყვანი ეცათ ქრისტეს საფლავის-თვის.

მოგზაური გამოვიდა პატარას მეიდან-ზე, რომელიც იყო გადაკიდული მდინარის ნაპირს, მიუახლოვდა იქ მყოფს მცირეს მონასტერს, დაუკაკუნა ზღუდის კარი, შემდგომ დაეყრდნა ორივეს კელით კუერთხს და იწყო ლოდინი. მოისმა ფეხის კმა და ჩხარუნი გასაღებებისა, კარი გაიღო, — კმაროდა შეხედულობა პილიგრიმისა, ტანთ-ცმა მისი, რომ იგი უკითხავად შესულ-იყო ხენაკს თანამოძმეთა ქრისტიანეთასა. იგი შევიდა და მიფარებულ-იქმნა ხშირის წაბლის ხეებ-ში.

სრულს ქალაქს ეძინა, თუმცა იყო ჯერ კიდევ ადრე.... მაგრამ მაშინ, მეაიეს საუკუნე-ში ქრისტეს შობიდამ, ბოლონია სხუა იყო და ახლანდელი ბოლონია სხუა არის. მაშინ არ იყო არც ესე მაღალნი სასახლენი ურიცხვის სვეტებითა და კოლონადებითა, რომელნიც თვსის სილამაზით და მდიდრის შეხედულობით აპატიოსნებენ ქალაქს, არ იყო არცა ესე ეკლესიანი, აღშენებულნი ას-ასწლობით, შემკობილნი მხატვრობითა და კელოვნებითა, არცა ესე ძეგლნი მარმარილოსნი, მტკიცენი, დაუსრულებელნი, რომელნიცა დაჰშთებიან სახსოვრად თვთ აღმაშენებელთა მათთა. ტამარი საწმუნოებისა, განათებული პირუწლის მოგონებითა უდიდესის კელოვნებათა და დაგვირგვინებული ჭაღროვანის არშიებითა, და სხუა მრავალნი საყდარნი მდუმარისანი, და თვთ ხატნი, განმაშშვენებელნი ამა საყდართანი, გალლერეები და აკადემიები, — ყოველივე ესე, იქმნება, წარმოდგე-

ნარებდა ნელიად, შეუნიშნჳელად, გარნა აღმობრწყინდა მხოლოდ შემდგომ მრავალთა წელთა განსაკუთრებულად ქჳეყანისა; პლანი ჴელოსნისა ჯერეთ არ დახაზულ-იყო; მხატვრობა — ესე უენო, გარნა მხურვალე და ცხადი საუბარი სულისა ღმერთ-თან და ბუნებას-თან, ჯერეთ არ დაწყებულ-იყო, და საკუთრებულსა იარაღსა მისსა, მდებარესა მიწასა შინა, ჯერეთ არ მიელო გრძნეული ძალი იგი, რომელიც სულდგმულ-ჰყოფს ცივსა ტილოსა სხივთა და ფერადებითა... მუნ, სადაც მოსჩანან ეხლა განიერნი, თანასწორნი ქუჩანი, ასპარეზნი, გარეშე მრავალ-მტაფიანის ოქროს ჩარდახებითა და მარმარილოს თაღებითა, მუნ, მეათეს საუკუნე-ში, იყუნენ ვიწრო ორღობეები, ცარიელი მეიდნები, ღარიბი სახლები — და მაშინ საზოგადოებითი, ვაჭრობითი, ზნეობითი და მმართებლობითი მდგომარეობაცა ბოლონიისა, შინაური და გარეგანი გამართულებაცა მისი — იყო ესრეთსა ურიგოებასა შინა. ერთის სიტყვით, მაშინდელი ბოლონია სხჳა იყო და ახლანდელი სხჳა არის.

— როგორ გამოცჳლილ-ხარ, ჯულიო! ეუბნებოდა ალერსით მოხუცებული პატრი, ოცდაათის წლის განდგომილი იმა მონასტერ-ში, რომელშიაც შევიდა ჩჳენი პილიგრიმი: როგორ გამოცჳლილი ხარ! ძნელად-ღა გიცნობს კაცი.

— რა გასაკვირველია, პატივოსანო ფრანჩესკო? სამის წლის მგზავრობა, სამი ათასი ვერსი წასვლა მოსვლისა, შრომა, ზრუნვა — დიახაც უკვლავს გამო-

მსცველის.

— ამასთანა-ვე ნაღველი, ავადმყოფობა სულისა?

— დიახ, წმიდაო მამაო, უმაგისობაც არ იყო: უპასუხა ჯულიომ, და ამ თქმა-ზე ღრმად ამოიოხრა და ჩაფიქრდა.

მწუხარება არის პირველი სიმი გულისა. პატრის კითხვა-ზე ამ სიმმა იწყო წკარუნი ჯულიოს გულ-ში.

— კმარა, კმარა, ჯულიო: უფრო წუხილი, უფრო ჭმუნვა. ჰსჯობს მიამბო — თუ სად იყავ, როგორ მოიარე, რა გაიგე, რა ნახე, რა იცი ახალი პალესტინისა? ოთხ-ჯერ ვყოფილ-ვარ იქ და ეგრეთ-ვე სასიამოვნოა ჩემთჳს ყოველი ამბავი იერუსალიმისა. ნუ-თუ ისევ ისე იტანჯებიან ქრისტიანენი?

— ისევ ისე, წმიდაო მამაო!

— ოხ ღმერთო, ღმერთო ჩემო! დაღად-ჰყო პატრმა კეთილ-კრძალულებით: როდის იქმნება დასრულებულ-იყვნენ უბადრუკებანი ჩუენნი! როდის იქმნება გამოგვეჴიდნეს ჩუენ კელთაგან ურწმუნოთა საფლავი მხოლოდ-შობილისა ძისა შენისა? — ოხ, მარგარიტო მეოხებისაო! როდის იქმნები შენ გვირგვინსა შინა უდიდესთა მფლობელთასა? როდის იქმნება, მშვიდნი მორწმუნენი შენნი თავისუფლად მოსულ იყვნენ და თაყვანი ეცესთ შენისა უწმიდესისა საფლავისა-თჳს. —

ჯულიომ უგდო, უგდო ყური აღმაღლებულს ღაღადებასა პატრისას, მერე დაჰკიდა თავი და წავიდა ფიქრ-ში. — ფრანჩესკო წამოდგა, გაადო განჯინა,

გადმოსწყო შეკრული დამტვერიანებული ქაღალდები, და მითხრა: ეს არს აღწერა მოგზაურობისა ჩემისა იერუსალიმს; აწ წარუკითხავ ჯულიოს, შეამოწმებ, შეგნიშნავ, თუ რავდენი ცვლილება მომხდარა მას აქეთ, და შეუდგა კითხვას. — შუაღამემ კიდეც მოასწრო, მაგრამ ფრანჩესკო ისევ იჯდა წიგნების სტოლ-ზე. ბოლოს უეცარმა ჯულიოს ძახილმა წამოახტუნა პატრი. ღმერთო ჩემო! აღმოიძახებდა ჯულიო: რატომ ყმაწვილს არ შეუძლიან დაჰხსდგრეს, დაივიწყოს სოფელი, ამაოება? —

— ჯულიო! შენ კიდევ აგრე ჩიხარ? დაწექ, შვილო ჩემო, დაიძინე, მოისვენე,-აი საწოლი.

— გმადლობ, ფრანჩესკო! სულს მშფოთვარს არ ეთვისება ძილი; იგი ჰრბის მის-გან შორს და თვს შემდეგ უტევებს მხოლოდ საშინელს სიზმრებს.

— ჯულიო, რა დაგემართა, უწინდელივით ჰშფოთავ: ნუ თუ მადლმა მღჳთისამა არ დაგამშვიდა შენ, არ გაჰკურნა წყლულებნი გულისა შენისა? უტევემ სხეული, უტევე მტერი: შენ გიხილავს დასაბამი ზეცისა, გინახავს პალესტინი.

— წმიდაო მამაო! იდუმალი ჭმუნვარებნი ვითარ-ცა ჭია უწინდელივით ჰხრის, ჰხოცნის გულსა ჩემსა; აკვანი ბედნიერებისა ჩემისა უწინდელივით ირწევა კედელთა შინა ამა ქალაქისათა.... ოხ ფრანჩესკო! მე მეგონა, რომ რაკი რჩევათა შენითა წავალ მეთქი მგზავრად, მაშინვე დავივიწყებ ყმაწვლთა ცთომილებათა გულისათა, ყმაწვლთა სოფლისა ამაოებათა? არა, სახე დამატკბობელი, დამტყუევებელი დამდევდა

მე ყოველდგან. ერთს საღამოს, რომელსაც ვიქირავეთ ხომალდი კონსტანტინოპოლ-ში და შევუდგეთ ზღვა-ში ცურვას, უეცრად რაღაც მნათი მოჩვენება წარმოგვი-დგა თვალთ წინ, ცათა და ღელვათა საშუალ.... ამ მოჩვენებას მაშინვე დაედევნა ნისლი და თითქმის სრულებით დააჩნელა. მდუმარედ ვიდექ აფრათა შო-რის და ვუყურებდი... ნისლი მოჰსწყდა, ერთი-ერთ-მანერთ-ზედ აღიჭივნენ, განიფანტნენ ნაწყვეტნი მისნი, და შემდგომ უეცრად მომეჩვენა სხჳა ახალი, საკვი-რველი სახილველება: იგი იყო სახე ქალისა,-და ამ სახე-ში ვიცან სახე ჩემის სატრფოსი, ჩემის სა-სურველის ბიანკასი.

—ახ უბედურო, საბრალო უმაწვილო კაცო!-იტ-ყოდა ამოხვრით ფრანჩესკო.

—მეორედ კიდევ,—განაგრძელებდა ჯულიო: და ვითა ცხადად მახსოვს გამოღვიძება იგი იერუსალიმს, დილით, რომელსაც ქალაქი სოლომონისა წარმომიდგა ყოვლითა თჳსითა ელვარებითა, ყოვლითა თჳსითა დიდებითა, ცისკრისა სხივთა შორის. მახსოვს, მახ-სოვს ცხოვლად, თუ ვითარ მსურდა მეჩვენებინა დიდებული სახილველი ესე ჩემის სასურველის, ჩემის ბიანკასათ-ჳს,-მსურდა, და სურვილი ესე თითქმის აღმიხდა გამოხატულება-ში. მეჩვენებოდა, ვითამც იგი იყო ჩემ-თან და მე მას-თან, შეთვისებული სუ-ლითა,-და ჩუენ ორნი დავჰმფრინავდით გუმბათსა ზედა საყდართა დავითისა და სოლომონისათა, დავეწაფე-ბოდით ბაგით სილუმის წყაროებს და ვლოცულობ-დით გოლგოთა-ზე.

— ღუღილი, აღრეულება სისხლისა! იტყოდა წყ-ნარის კმით ფრანჩესკო.

— დიახ, პატივოსანო მამაო, იგი იყო არსება, შექმნილი ჩემის ოცნებით, რომლისაგანაც მაქუს დატყუევებული გრძნობა, გონება, გამოსატყულება.- ტკბილ-იყო ჯერ გამოღვიძება ძილით, გარნა სამ-წუხარ-იყო მერმე გამოღვიძება იმა ოცნებისგან, და სინანული ჩამომეპარა გულში... ბიანკავ, ბიანკავ! იქნება არდა მიმელოდე! იძახდა ჯულიო თვალ-ცრემლიანი: იქნება, დამჯდარ ხე ფიქრთა შინა შენთა საუკუნოდ? მაგრამ არა, ბიანკავ; მე უკუ-მოვიქეც; მე გნახავ წენ, შენ მნახავ მე. —

— შვილო ჩემო, საბრალო ჯულიო! ევედრებოდა ფრანჩესკო, დაუტევა რა ქაღალდები თჳსი; მოთმა-ნებას მიეც თავი შენი, დაჰსცხრი, ცრემლი და სა-სო-წარკუეთილება არს მხოლოდ კუთვნილება სუს-ტისა სულისა: მხნე იყავ და შეჰკრიბნე ძალნი,

— მხნე ვიყო? ზედ-დაატანა ჯულიომ; ანა მტე-რი, პირისპირ რომლისაც მარჩევ გამხნევებას? — კა-ცთა, ჰსჯულთა, სრულს სოფელს უარ ვჰყოფ, დავთრ-გუნავ ფეხით; ვიხმარებ მძლავრობას იქ, სადაც სიტყვით და ვედრებით ვერა გავაწყუერა. — მადლო ღმერთო! რადის იყავ შენ წინა-აღმდეგ კაცთა ბედ-ნიერებისა? თუ იგინი არიან დამარღვეველნი მისნი. ერთი სიფრთხილით ჰფარავს ჩემგან სიბნელეში მარგარიტსა ჩემსა, საუნჯესა ჩემსა: მერე მიმო-რვებს თავადგან და მამევებს სამის წლის სავალზე, შორს, შორს, სადაც ათასი საშინელება, ათასი

შრომა, დუწვა, სიკვდინება არიან მხოლოდ თანამა-ვალნი ჩვენნი.

— შვილო ჩემო! არ დაასწუნარებ ცოდვილს ენას? წაჰხსმახა ფრანჩესკომ. პატრს ეგონა, ჯულიო ჭკუი-დამ შეიშალაო. მაგრამ ჯულიომ ანაზდად დაიდაბლა ხმა და ჰკითხა:

— წმიდაო მამაო, მაუწყე მხოლოდ, მითხარ ერთი: ზიანკა ცოცხალია, თუ არა?

პატრმა ამ კითხვაზე წარბები შეიჭმუხნა და იწყო ბოლთის კვრა.

— ცოცხალია თუ არა? მითხარ, გევედრები, პა-ტრიკოსანო ფრანჩესკო, ეუბნებოდა ჯულიო, დაუ-ჭირა ფრანჩესკოს ჴელი.

— ქუეყნის-თჳს ხომ არა, და სიცოცხლისათჳს ღმერთმა იცის,-უპასუხა პატრმა დაყოვნებით და ჴელ-მეორედ მიუჯდა თავის ქაღალდებს.

ჯულიომ მსწრაფლად გააგდო ჴელი პატრისა, და თითქოს მეხ-დაცემული, გონებით, გარდაიქცა სარეცელ-ზე.

---

ჯულიო იყო ობოლი და ჴელ-და-ჴელ მოხვედა ფრანჩესკოს, ნათესავსა და მეგობარსა მშობელთა მისთასა. კეთილი სული, შუენიერი გონება, შეხე-დულება-მიიზიდავდნენ, შეაკავშირებდენ მას-თან მო-ხუცებულსა. ჯულიო აღიზრდებოდა მის თვალთ წინ,

და იგი და სწყვეტდა მას სიამოვნებით,-და ესე პირ-ველი ლუღლუღი სიყრმისა, ესე პირველი დასაბამი ცხოვრებისა, პირველნი გრძნობანი, მერმე ფიქრნი, მერმე გულის კვეთებანი, ყოველივე ესე მოაგონებდა მას წელთა სიყრმისა მისისათა; მაგრამ ფრანჩესკოს გამოეცადა სოფლის ამაოება, ღელვა, ამბოხება, და იგი განდგომილი ყურსა, მოსვენებულსა სენაკსა, ყოვლის ღონისძიებით მეცადინეობდა, რათა ჭაბუკ-სა გულსა შინაცა მისსა დაენერგა სიმყუდროვე სიტკბოებისა-დმი, წმიდანი გრძნობანი სარწმუნოე-ბისანი, კეთილმსახურება, სიმშვიდე,-და მით უნდოდა მოემზადებინა იგი სამღვდელოდ, სასულიეროს შვი-ლად, რომლისაც წოდება იყო იმ დროს სახელოვანი, პატივცემული და ღირსეული.

ცხრა წლის წინად დაუტევა-რა ვაჭრობა თჳსი ქალაქსა ამალფის, მოიქცა ბოლონია-ში ერთი მდი-დარი და სახელოვანი მცხოვრები მისი, სებასტიანი რიჩჩი, თჳსის მცირე წლოვანის ასულით. იგი უზი-დავდა მონასტრის სხუა და სხუა ფარჩას, და სხვის მისვლა-მოსვლით გაიცნა, დაუახლოვდა კრებას სრულის მონასტრისას. ფრანჩესკო იყო პატიოსნად გამოჩენილი გუამი: გონიერება მისი, სასიამოვნო გამოთქმა, მოთხრობა თავის-თავ გარდასავლისა, დასარულ მშვიდობიანი, კეთილი ქცევა,-მოაწონდა სებასტიანს და უმეტესად დაუახლოვებდა მას. კავშირი ესე დღით-დღე უმაგრდებოდათ, და იგინი დასასრულ შეიქმნენ ჭეშმარიტ მეგობრად. ფრანჩესკო ხშირად ეწვეოდა სებასტიანს და დაჰყვანდა თან მოწაფე თჳსი.

მცირე წლოვანნი-ჯულიო და ბიანკა-ასული სებასტიანისა, იყვნენ თითქმის ერთის ხნისანი.-იგინიცა ეგრეთვე ხასიათით, ქცევით, ჩუეულებით-მიემსგავსებოდნენ ერთი-მეორეს, და თითქოს თვით ბუნებით ანუ შემთხუევით იყვნენ დაკვეთილ, რათამცა ოდესმე ქორწინილ-იყვნენ ურთი-ერთისადმი. ხოლო ესრეთთა გრძნობათა ზრდიდა და აცხოველებდა ხშირი ერთად შეყრა, თამაშობა, ალერსი.

ჟამსა განთიადისასა, მიუყურებულს წყუდიადიანს წალკოტ-ში, მდუმარედ და უშრავად, თავ-დახრილი, ჰკიდია კოკორი თავის ღერო-ზე, მაგრამ წამი ერთი, და გარდაიშალა უეცრად: ფურცელნი დვივიან, გამოჰბერვენ სუნნელებასა, და ოქროვანნი სხივნი მათნი გამოჰკრთიან საშუალ.—ესრეთ ჰყვავის სიყვარულიც თემთა შინა სამხრეთისათა, ესრეთ ანაზდად განიფურჩქნება იგიცა სუნნელებით, მშუენებით, განცხრომით. მაგრამ გულსა, რომლიდგანაცა აღმოცენდება ყვავილი ესე, ამძიმებს უკუე ფიქრი თითქოს ჩქარის დაჭკნობისა.

ესრეთ აღიფურთქა პირველმა ტრფიალებამ ჯულიოს და ბიანკას შორის. განვლეს რაოდენთამე წელთა ამ ზუჰარს ნეტარებითს მდგომარეობა-ში, სიჭაბუკე განიშალა მშუენიერებით, უმეტეს ფუფუნებულებით და გამოესალმა სიყმაწვილეს. ოხ, ვით ტკბილ იყო, ვით მხურვალე მაშინ კოცნანი მათნი!... ოხ! რაოდენი გრძნობა, თავაზი, სიხარული გამოჰსჭვრეტდნენ მეგობრულთა ხვევნათა შინა, ჟუჟუნათა თვალთა შინა ბიანკასათა; რაოდენი ცეცხლი, ელვა, სურვილი გამოიხატებოდნენ მხურვალეთა თვალთა

შინამსახსიმაჯნურისათა! მოხუცებულნი უყურებდნენ მათ, ვითარცა და-ძმათა, ტყუილი იჭვი შორს იყო მათგან; იმათ სხუა ჰქონდათ საუბარი, სხუა იყო იმათი ანგარიში, წასვლა-მოსვლა, და ან სად ჰქონდათ იმდენი მოცალეობა, რომ შეჰხედვოდნენ ყოველთა კვალთა აშიკობისათა და შეენიშნათ რომელიმე ნიში ანუ შეცოდვილება.

სებასტიანს ჰქონდა მახლობელ ბოლონიისა მშუენიერი ბაღი. იქ ხშირად მივიდოდა ფრანჩესკო დროს გასატარებლად თავის მეგობართან. ჯულიოც მაშინათვე დაჰყრიდა წიგნებს და თან გაჰყვებოდა, რათა-მცა იმასაც ეხილა თავის გულის მეგობარი—ეხილა ბიანკა და დამტკბარიყო მასთან ერთად ყოფნით.

ერთს ზაფხულის საღამოს, ორივ მოხუცებულნი დასხდნენ ხეივან-ში, ათამაშებდნენ კრიელოსანს და ჰქონდათ დადინჯებული სხუა და სხუა საგან-ზე საუბარი.-უეცრად მეორეს ხეივნიდამ მოესმათ ჯერ ფეხის ხმა, მერე ლაპარაკი,-და იმავ წამს მიხვდნენ, რომ იგინი უნდა იყვნენ ჯულიო და ბიანკა,-შედგნენ და მიუგდეს ყური. ესრეთი იყო იმათი ლაპარაკი:

—მე გედარ მიცვნი-ხარ, ჯულიოვ, ეტყოდა ბიანკა: სრულებით გამოცვლილ-ხარ! უწინ ბაგენი შენნი არ დასდუმდებოდნენ, არ დაიღალებოდნენ ჩემთან სალაპარაკოდ, მომალხენნი, შემაქცევნი, მანუგეშებნი, ახლა ამაოდ გამოველი შენგან ღიმილს, ამაოდ დაწყენი ჩემნიცა, აღვზნულნი მხურვალებითა, გამოელოდებიან კოცნათა შენთა.

—ახ ბიანკავ, ბიანკავ!—უთხრა ჯულიომ. რას ნიშნავს სამდურავი ეგე? ახ, რომ იცოდე თუ რა ჰგლე-

ჯს გულსა ჩემსა, მაშინ თვით შენ შემიბრალებდი მე; იყო დრო, როდესაც წალკოტი ესე გემსახურებდა ჩუენ ნამდვილ სამოთხედ, რომელშიაც გიხილავდი შენ ვითა ანგელოზსა ნეტარებისასა. მე მეგონა, სიხარული ჩემი, სიტკბოება ჩემი იქმნება შენთან დაუსრულებელი,-და ამ ფიქრით გეხვეოდი, გეამბო-რებოდი შენ, მაგრამ ოცნება ესე დაბნელდა აწ რაჲ-დაც იჭვნეულობით, რაჲდაც მოუთმენელის წინა-მგრძნობელობით, რომელიც იდუმალ მეუბნება მე, რომ მოახლოვებულა ბედითი წამი, განგაშორებენ ჩემგან და მიგცემენ სხვას.

სებასტიანმა დაჰსწია კალთა ფრანჩესკოს, და ორ-თავე უფრო ბეჯითად მიუგდეს ყური.

—ვის შეუძლიან ჩუენი განშორება? ამბობდა ბიანკა და ეხვეოდა ჯულიოს: და ან რა არის ეგ შიში, იჭვი, ვის რა კელი აქვს ჩუენ-თან? შენი ვარ, შენი, გეფიცავ, გეფიცავ, ჯულიო.—

გესმის, ფრანჩესკო, გესმის? ეტყოდა თრთოლით და ჩურჩულით სებასტიანი. ხუმრობენ, ხუმრობენ! უპასუხებდა ფრანჩესკო.

—ახ ბიანკავ, ახ ჯულიო! კმა ჰყუჩს ორთავე და ზედ-დაატანეს ტაშა-ტუში; მერე, დაასრულეს რა კოცნა, დაჰკრეს ფეხი და გაიქცნენ, და დიდ ხანს ისმოდა იმათის სირბილის კმა,

მოხუცებულნი დარჩნენ სახტად, ჯერ უყურეს უყურეს ერთმან-ერთს, მერმე პირჩუტულ სებასტიანმა უთხრა:

—ნახე, რა ამბავი მოხდა?

— რა ამბავი? ჰკითხა ფრანჩესკომ, მითომ არა-ფერი. —

— იცი-რა? მე დავაშავე, რომ წინათვე არ გაცნობე: ბიანკას კიდეცა ჰყავს თავისი საქმრო, ამ დღეებში მოუვა და წაიყვანს კიდეც.... და ბიანკას არ მივცემ ჯულიოს, არა და არა!...

— და განა ძალას გატანს ვინმე? გეუბნება, გთხოვს ვინმე, წინა-აღმდეგია ვინმე?

— რასაკვირველია ეხლა ყველა წინა-აღმდეგია. ჩუენ აქამდის ეს დაახლოვება გვეგონა მეგობრობის ნიშნად, მაგრამ ვიყავით ბრმანი და ვერა ვხედავდით ფათერაკს.

— მითომ რა ფიქრი გაქუს?

— შენ რა იცი: ეხლა თითქმის დავჰკარგო ყველა-დამ ბედნიერება ჩემის ბიანკასი, დავჰკარგო სრუ-ლებით.... მე, უბედური, როგორ მოვიფიქრებდი, რომ კრავი გადაქცეულ-იყო თრითინად და გაეთხარა სორო ჩემის სახლის ეზო-ში.

— მადლობელი გახლავარ, სენატორო, ჯულიოს ასე გაუპატიურებისათვის. შენ ჯერ არ იცი, რომ ჯულიო შვილ-ზე უმჯობესია ჩემ-თვის?

— შენ-კი გგონია, ბიანკა ჩემი ქალი არ იყოს? ჰსთქუეს და წავიდ-წამოვიდნენ უმადურად. —

მაგრამ, მეორეს დღეს, ფრანჩესკომ ჩუეულებისამებრ გაუმრავლა ჯულიოს გაკვეთილები. ჯულიომ დაას-რულა საქმე, და სადამო-ზე, როდესაც ჰსთხოვა ნება წასასვლელად სენატორის ბაღ-ში, ფრანჩესკომ გამოუცხადა გარდაწყვეტილი უარი; ხუალეც, ზეგაც,

მაჩებაც, ერთს კვირას სულ ეუბნებოდა უარს; მაგ-რამ ჟულიომ, როგორც იყო, წაიღო ნახვა ბიან-კასი, შეიტყო საქმის ვითარება; ამ დროს შემოვიდა ბიანკას მამაც, და იმანაც გარდაწყვეტით გამოუცხადა, რომ ამის შემდგომ აღარ გაბედოს მის სახლ-ში მისვლა და ხილვა ბიანკასი. ჟულიო ჰმორთოდა, არ იცოდა რა ექნა, და იქნება სასისხლოთაც წაჰკიდე-ბოდა სეპასტიანს, არ მიეხედნა არც სიბერისა, და არც ჭაღარისა მისისა-თჳს; მაგრამ მას ჰქონდა კიდევ იმედი ბიანკასი, ამის მიზეზით დაიკავა თავი და უჩ-ხუბრად გამოვიდა სახლიდამ.

ფრანჩესკო ამშვიდებდა ჟულიოს, მაგრამ ცდანი მისნი დარჩნენ ამაოდ.

ჟულიოს დაუმართა სეჯდა და დაუტევა ყოველი საქმე. ფრანჩესკო ჰსწუხდა თავისის ბლანების დარ-დუფცვას: იგი ჰსცდილობდა, თუმცა ამაოდ, რომ მო-წაჯე მისი კურთხვილ-იყო ხატრად, მაი უმეტეს, რომ ჟულიო ცხრამეტის წლისა ჰსჯობდა უკუჩ-უველა ღუთის-მეტყუელსა სწულს ბოლონიაში. ჟულიო ორის-სამის დღეობით დაუტევებდა სენაკს მამობილისას. აღარა ჰსჩნდა ხოლმე, ერიდებოდა კაცთა, ემალებოდა ამხანაგთა თჳსთა, გარნა ნიადაგ ეძებდა შემთხუევას, რომ ეგებ სადმე მოეყარა თვალი ბიანკასა-თჳს.... შემდგომ რამდენისამე დროისა სეპასტიანი და ფრანჩესკო შეიყარნენ.

— როგორ შენ და შენი მოწაფე?

— როგორ შენ და შენი ქალი?

— ფრანჩესკო!

— სებასტიან!

და გარდაეხვივნენ ურთი-ერთს თვალ-ცრემლიანნი.

— ფრანჩესკო! მოდი ვიყვნეთ ისევ მეგობრად.

— ვიყვნეთ, უთხრა პატრმა, და თვალთ ცრემლი წარიხოცა.

— მეგობრობა მოხუცებულთა უნდა იყოს მტკიცე, შეურყეველი: არა?

— ოღონდაც, მეგობარო!

— მაშ ისევ მეგობრები ვართ?

— რასაკვირველია, სიკვდილამდინ!

მოხუცებულთ გული დაუმშვიდდათ და დასხდნენ იგინი ხის ქუეშ.

— ფრანჩესკო! მე მაქუს ერთი სათხოვარი შენთან.

— რა სათხოვარი?

— არ მინდა სიტყვის გატეხა. — ამ თხუთმეტის წლის წინად, სავაჭროდ მივდიოდი ხომალდით ვენეტიკს. ყოველი საცხოვრებელი ჩემი და ჩემის პატრას ასულისა მქონდა თანა. ერთს ღამით ჩუენს ხომალდს დაესხნენ ზღვის ავაზაკნი; დიდხანს ვიბრძოლეთ, დასასრულ გვძლიეს მათ. — ამ დროს, სად იყო და სად არა, უეცრად მოგვეშველა მხნე და ვაჟკაცი სციპიონ ვენეტიკელი, ჩემი აღრინდელი ნაცნობი; ერთის შემოტევით გასწყვიტნა მან ავაზაკნი და გადაგვარჩინა მტერთაგან მე და სარჩო ჩემი. მაშინვე, რა არ ვიცოდი, თუ რით დამემადლებინა, აღუთქვი მე მას ნახევარი ჩემის ქონებისა. სციპიონმა უარ ჰყო. რა ექნა? ფიქრში მომივიდა, რომ იმას ჰყავს ვაჟი, მე მყავს ქალი, და რა განვუცხადე

ჩემის მხრით სურვილი იმათის შეუღლებისა, ისიც მეთანხმა დიდის კმაყოფილებით, მივეც სიტყვა ფიცით და სიწმიდით. — ფრანჩესკო, აღმასრულებინე სიტყვა, არ გამატეხინო ფიცი.

— როგორ, როგორ?

— ჯულიო განვაძეო აქედამ.

ფრანჩესკო განჰკრთა და წამოიწია. —

— რას ჰკრთი, მამაო! უთხრა სებასტიანმა: მე ვამბობ, რომ განვაშოროთ ჯულიო რამოდენსამე ხანს აქედამ. —

— როგორ? სად?

— ჯულიო არის ყმაწვილი კაცი, მხურვალეს გამოხატულებისა, მღვთის-მოყვარე, და რასაკვირველია იმისთჳს ადვილია და ერთით სასარგებლოც იქნება, რომ წავიდეს პალესტინა-ში, იხილოს ქალაქი დავითისა და სოლომონისა, მით, რომ მოგზაურობა ესე, პირველად, განამრავლებს ცნობათა მისთა და გამოადგება პატრონობაშიაც, და მეორედ იხსნის გარდამავლობისაგან და არ შეიყვანს განსაცდელში. იფიქრე, ფრანჩესკო, გაბედე, დამიჯერე.

— ვნახოთ, ვნახოთ-უპასუხებდა ფრანჩესკო: თჳთ ჰაზრიც ამ მგზავრობისა არის მადლი მღვთისა, მაგრამ შენ მითხარ ღონის-ძიება....

— ეგ ადვილია, თჳთ მე მივცემ ყოველსავე შემწეობას, თჳთ მე გავუმართავ ჴელს, ამის-თჳს რომ არ იცი, როგორ მიღირს სახელი ჩემის ასულისა.

— რა ჴელის გამართვა უნდა? მხოლოდ ერთი აბგა, კვერთხი... მაგრამ პირველი კეთილ მნეველობა

და მადლი მდიდრისა: იმათი ხილვა არას საუნჯით
არ შეიძლება.

— ოღონდაც, ღმერთია ყოველს კეთილს საქმეში.

---

დაღამდა. ღამენი სამხრეთისანი არიან ეგრეთვე
ტურფანი, ვითარცა ქალნი იქაურნი. მთოვარე საა-
მოდ, მოუწყენივრად განანათებდა არემარეს. დაწყნარ-
და, დადუმდა ყოველი, ნიავი შესწყდა, ფუფელთ
შეჰსწყვიტეს ზიზინი, არდა განისმის ფოთოლთ შრი-
ალი. — მხოლოდ რადაც გრძნეულებით იყო შემუსი-
ვებული ჰაერი. —

---

თავის მამის ბაღ-ში, იმავ ხეივანს, სადა გულდა-
ობლებული ბიანკა. ვერდა იცნობდით ბიანკას!! მკერდი
უღელავდა ნაღვლით, შუბლ-ზე ესახა ჩრდილი ჭმუნ-
ვარებისა; თვალთა შინა განექრა ცეცხლი შეუმ-
რომელთა ცრემლთაგან; ღიმილი არდა უთამაშებდა
გამხდართა დაწყლთა და ბაგეთა ზედა: თუმცა ამა შე-
ხედულობით იგი იყო უმეტეს დამატყუებელი ეშ-
ხითა თვსითა. თითქოს დამაშვრალი, სადა იგი მიყ-
რდომილი ხე-ზე და ჰსწყუხდა განშორებულს ჯული-
ოსთვს.

სხივი მთვარისა ჩამოადგა საშუალ შტოებისა და განანათა გამხოლოებული სატრფო, განსპეტაკებული თეთრის სამოსლითა. ზიანკაჲ გარდიყარა თეთრს მარმარილოებ მხრებ-ზე გრძელი გიშერნი თმისანი, გაისწორა შავის ატლასის სარტყელი და წამოდგა, ახედა მოწყენით მთვარეს, და გადმოჰყარა-რა თვალთაგან ცრემლი მსგავსად ობოლის მარგარიტისა, შემდგომ მოჰყვა ესრეთ:

— ღამევ, ღამევ! დაუსრულებელ-იყოს სიბნელე შენი, და არა შესცვალოს იგი დღის ელვარებამა! მიყვარ-ხარ, თალხად-მოსილო ღამევ! შენ ხარ მსგავსება საზრდოს ზიანკასი! რას ელი ეგრეთ დაყოვნებით, მთვარეო ღამისაო? რას ელი? რას ველი თჳთ მე, უიმედო, უნუგეშო პყრობილი ქვეყანასა შინა? იყავ უძრავ, თანამოგზაურო ჩემო! იქნება დატყუევებულმა შენის სიტურფით, განკრთომილმა აღშფოთებულის სიზმარ-ჩუენებით, სასურველმა მეგობარმა, ამავე გრძნობით, ამავე ფიქრით-შემოგხედოს შენ და ინუგეშოს შენ-მიერ მორეულს ქუეყანას; მაშინ თვალნი ჩუენნი შეიყრებიან და ესე შეხვედრა იქმნება ტკბილ-შეყრად ორთა სულთა ზეცა-ში, აღფრენილთა უკუე ამიერ სოფლით. უტევე, იმან შენ-ში, ვითა სარკე-ში, წარიკითხოს მოთხრობა სულისა და გულისა ჩემისა. მაშინ უჩვენე მას ცეცხლის ნაპერწკალივით მდუღვარე ცრემლი ესე, რომელსაცა ვაფრქვევ მე, შემდგომ ჩემის მიჯნურისა. გამოსალმების დროს შენ იყავ მოწამედ თუ ვითა ვფიცე ყუარება მისა საუკუნოდ, ახლა

აუწყე მას, თუ ვითა მრწამს მე ფიცი ესე აქამომდე.
«ნუ ჰსტირო, ნუ სტირო, ბიანკავ!» მეტყოდა იგი, რა მესალმებოდა, და ამა სიტყვებ-ში თითქოს მომესმოდეს მე ახლაც თვით ჴმა იმედისა. ახ იმედო, იმედო, ვარსკვლავო ცხოვრებისაო! ნუ განმიტევებ მე შეჭირვებულსა ცხოვრების გზა-ზე. აღმინთე დამბვარი შენი გულ-ში და ნათლითა შენითა განჰსდევნე ჩემგან ყოველი განწირულება. ჯულიო ეხლა იქნება ლოცულობდეს წინაშე ქრისტეს საფლავისა. — ნეტარ არს მხურვალი მლოცველისა! ლოცვა არს ჰაზრი მღუპრისა, გამოხატული ბაგეთა შინა კაცობრივთა, ლოცვა არს ნუგეში შეჭირვებულთა. — ილოცე, ილოცე, ჯულიო! ხოლო მე...

ბიანკამ შეჰქმნა ქვითქვითი, თვალთ მოაშორა დამის მნათობს და განვიდა ხეივნიდგან. — ბიანკა თუმცა გამოესალმა ჯულიოს იქნებ საუკუნოდ, გარნა მან არცა რჩევით, არცა ვედრებით, არცა ქადილით არა განსტეხა ფიცი თჳსა. —

— ბიანკავ! ევედრებოდა სებასტიანე: პატივ-ეც მოხუცებულსა მამასა, დაზოგე ჭაღარა ჩემი, ნუღარ იყოვნი, ივიწყე ჯულიო.

— სული, გული, გონება, მეხსიერება და თვით მხურვალე სიყვარული ჯულიოსადმი, აღმომხდე, საყვარელო მამავ: იქნება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდეს დამორჩილება ჩემი...

— ბიანკავ! მეტად ნუღარ განმარისხებ; მეხსომდეს, რო დავივიწყო თვით მამაშვილობაც.

— მარჯველად მე გთხოვ დამსაჯო ურჩი ასული:

ცოდვილეკარ წინაშე შენსა...

—ბიანკავ! იწამე შენი ღმერთი: ნუ გამაჰკვა-ცებ, ნუ მაშამულებ ღმერთსაცა, კაცსაცა. რად გინდა წავიწყმინდო სული! რაღას პირით წარსდგები წინაშე მსაჯულისა, წინაშე მამისა დაუსაბამოსა?

—მამავ, მამავ! ეტყოდა ბიანკა, და ეხვეოდა მუხლთა მისთა: —მე ვჰსთხოვ ღმერთს, ცრემლითა ჩემითა განვჰბან შეცოდვილებასა ჩემსა, თავს დავ-დებ დამნაშავედ, და არ მოვიშლი ჯულიოს საყვა-რელს....

ამის შემდგომ მოვიდა საქმრო ბიანკასი; ალე-რსი, მოკითხვა, აღთქმულება მეცილურის ვენეციე-ლისა-მიიღებდნენ მხოლოდ გრილსა, იძულებულის პასუხსა, და დასასრულ ბიანკამ გამოუცხადა მას სრუ-ლი უარი. გაცრუვებული საქმრო ჩუმად, რომ სე-ბასტიანმაც ვერ ჰსცნა, უკუ-მიიქცა თავის ქუეყა-ნაში.

სებასტიანი ჰსწუხდა ქალის გაჯავრებას, ოხვრიდა და წვერს იგლეჯდა, ნანობდა აზრუს გაცემას, და ამბობდა-თუ რას იტყვიანო ვენეციაშიაო, სადაც ჰქონდა მას ალებ-მიცემა და ვაჭრობის ანგარიშება, და თითქმის საიდგანაც ელგა მას სული და ეძლევოდა უოველი დონის-ძიება.

—დამაცა მე თავის-ნათქვამო! კარგი, კარგი, ეს ხომ ასე მოხდა: ვნახოთ, თუ შენც ჯულიოს შეი-რთავ. როგორც მე ვენეციაში ვეღარ წავალ, ისე შენც შენს ჯულიოს ვეღარა ნახავ.

ამ დროს ფრანჩესკო შემოვიდა სებასტიანთან

სუპასტიანმა გააყვანა იგი და უთხრა: ფრანჩესკო, ერთს საქმეს გთხოვ: როცა დაბრუნდეს ჯულიო და გკითხოს ბიანკა, უთხარ, რომ ბიანკა შევიდა მოლოზნანათა-თქო. — არა ჰსჯობს, რომ იმათ ნახონ კიდევ ურთი-ერთი, არ მინდა, რომ მამის უფლება დაირღვეს და ცოდვამ იდღესასწაულოს; უთხარ, მამას არ ენებათქო, მაგრამ რას ჰქვიან მამის ნება? დიდათ ჰსწამს იმას მამის ნება! დამაცა-როგორ დაგამწყვდიო, აგყარო ყოველი პატივი და მოგეპყრა სასტიკად.- ჰსთქვა და თავი დაუკრა ფრანჩესკოს.

ერთს კვირას უკან ბიანკა წარგზავნილ-იყო უკუე ექსორიად ერთს შორეულს ნათესავ-თან. მოწყენით განატარებდა იგი მუნ დაობლებულთა დღეთა თჳსთა, განტევებული თჳნიერ ყოვლისა ნუგეშისა, და ნაცვლად ყოველთა სოფლისა კეთილთა დაშთენოდა მას მხოლოდ ერთნი მწუხარენი მოგონებანი ყვავილოვანთა დღეთა, მწუხარენი ვითარცა თჳთ იმედი ბიანკასი. —

---

იყო საუკუნე კაცთ სიცოცხლე-ში, რომელსაც ეწოდება: საუკუნე ქუეყნის აღსასრულისა. იგი იყო მეათე საუკუნე, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, მეათასე წელი ქრისტეს შობიდამ. რასაკვირველია, კაცნი ჰსცხოვრებდნენ ჩუეულებრივ, საზოგადოებანი მრავლდებოდნენ, მეფენი და ქუეშევრდომნი აღასრულე-

ბდნენ საქმეთა თჳსთა, თუმცა მძიმედ, დაზარებით, იძულებით,-გარნა ცხოვრება ესე ზნეობითი, საზოგადოებითი-ყოველი იყო შეჭირვებული ფიქრითა მოახლოებულის სიკვდილისათა: ქრისტიანენი ამა საუკუნესანი ემზადებოდნენ გარდასვლად წუთის სოფლიდგან დაუსრულებელს სოფელს, ემზადებოდნენ წარდგენად საქმითა თჳსითა წინაშე ჭეშმარიტისა მსაჯულისა, და დღითი-დღე მოელოდნენ სოფლის აღსასრულსა. იყვნენ მრავალნი ჭკჳანნი კაცნი, რომელნიც გამოათარგმანებდნენ ჰაზრსა საწინასწარმეტყუელოჲსასა, სადაცა იხსენება: იყოს ქუეყანა ვიდრე ჩ თას წლადმდე. ყოველნი იყვნენ აღელებულ ფიქრითა ამით, საქმენი, ღვაწლნი შესრულდებოდნენ თითქმის თჳნიერ ყოვლისა მონაწილეობისა; შეჰსწყდნენ წყარონი კეთილ-მდგომარეობისანი, და ყოველსა მონაწილეობასა და მოქმედებასა სახელმწიფოთასა დაედო ბეჭედი უქმობისა, რომელიც უნდა აეხსნა მხოლოდ მოახლოებულს საზოგადოს სიკვდილისა. —

იტალიასა შინა-ც უფლებდა საშინელი ესე ჰაზრი ქუეყნის აღსასრულისა. მდიდარი სიმდაბლით აწოდებდა ხელს გლახაკსა და ეხვეწებოდა, რომ არ დამდურებოდა უწინდელის მედიდურობისა-თჳს. მტერი მტერს უმეგობრდებოდა, და ყველანი სინანულით მარხულობდნენ, ლოცულობდნენ, ვითარცა განდგომილნი სოფლისა ამაოებათ. ვინაჲდგან დღეს იყო თუ ხვალ უნდა დაეკრა საათს აღსასრულისას, და უკუე მოახწია უკანასკნელმა წელმა.

ერთს ზაფხულის დღეს, სადილთ-უკან, გამოვიდა რა ბოლონია-ში ლოცვები, სრული ქალაქი, დიდი და პატარა, მდიდარი და გლახა, ღვდელი და ერი, შეგროვდნენ ერთს დიდს მეიდან-ზე და უყურებდნენ მზის დაბნელებას.-ვითარცა კანდელი, შესვრილი სისხლით, შეშავებული კუამლით, ეკიდა მზე გახუნებულს ცა-ში. ქალაქი ემსგავსებოდა დარღვეულს ტაძარს, სადაც კამარა არს დაბნელებული, ყოველი საგანი არს მოცული მდუმარებითა, და სადაც კაცნი შემრწუნებულნი ესრეთის სანახავობით, მუხლ-მოდრეკილნი, კვრიდ მოწიწებით, მოელიან საშინელს საკვირველებასა.

— ცოდვილნო! მოინანიეთ საქმენნი! სთქვა ერთმან მქადაგებელმა: დამდაბლდით მძლავრნო, ივსიკლეთ მცონარენო! შეუდგეთ გზასა ჭეშმარიტებისასა. მოახლოვდა სასუფეველი ცათა...

— უფალო! კმა პყოს ერთმა უმეცარმა: რათ გნებავს, რომ მართალ მორწმუნენი შენნი დამარცხდნენ ეშმაკთაგან, შევიდნენ განსაცდელსა შინა და დაემხნენ პირქვე წინაშე უღირსის ანტე ქრისტისა.

— შეხედეთ, შეხედეთ! დაიძახა მესამემ: რა საშინელი დრუბელი წამოვიდა! ეს ჰსწორედ ანტე ქრისტეა, თავისის კრებით, რომელიც მოვალს ბრძოლად ანგელოსებ-ზე.

იმავ წამს საშინელი დრუბელი გარდაიხსნა, გაიელვა, იწყო გვირგვინვა, და შემდგომ დიდხანს იძროდა ცა და ქვეყანა.

მას-ვე მეიდან-ზე, ნელნელა, მოვიდოდა დადა-

ლული სებასტიანი და მოაქცნდა ზურგით რადაც უშველებელი ზარკი. მეტის სიმძიმით გადმოუვარდა მას ტვირთი, მოეხსნა პირი და გამოეფანტა ოქრო-ები. სებასტიანმა ზედაც არ მიჰხედა დაფნეულს ოქროებს, და დანაშთენს მოჰკრა პირი. უჰ, რა მძიმე ყოფილა ტვირთი ცოდვათა! ამბობდა თავის-თჳს სებასტიანი: გინდ-რო სულაც ჭუჭკევო ეს ფულები აქ, ვინ არის ამდები? ტყუილად იზიდე ეკკლესია-ში შესაწირავად: იქაც არ მიიღეს. ღმერთო! ღმერთო! მოგვესწრებოდით ამას? — კირილე, კირილე, დაუძახა მან ერთს ღარიბს კაცს, რომელიც უყუ-რებდა შორით: აქ მო, აქ.

გლახამ ფეხიც არ გაჰსმრა.

— მოდი, ძმავ, ნახევარი შენ, ნახევარი მე: ან მიშველე ამ ფულების მიზიდვა წმიდის პეტრეს მონასტრის-ში, ცოდვის შესამსუბუქებლად.

შემდგომ რაოდენსამე წამისა, მზე ისევ გამოვიდა და დამშვიდდა ცა და ქვეყანა.

---

მარტოდ, სენაკსა შინა თჳსსა, ღრმად ჩაფიქრე-ბული, იჯდა ფრანჩესკო. უეცრად დააკაკუნეს კარი. ფრანჩესკო წამოდგა და გააღო. შემოვიდა სებასტიანი.

— დავიღალე, ფრანჩესკო, შემოვედ შენ-თან დასასვენებლად. —

— მობძანდი, მობძანდი.

— შეიტყუე, რა ამბავი იყო?

— რა ამბავი?

— ჯუარ დაბნელება მზისა; მერმე მიწის ძრა, ანტე ქრისტეს მოწევნება.

— რას ამბობ? ოჰ, ღმერთო ჩემო! ჰხედავთ ცოდვის გამრავლებას? მართლ აქ არ არიან ესრეთნი მოვლინებანი. სხუათა ადგილთაცა შინა გამოჩნდე-ბიან ხოლმე ევროპე კუდიანნი ვარსკულავნი, ცეცხ-ლის ბოძნი, საკვირველებანი; თჳთ იგი ადგილნიცა, სადაც დაბადებულა ქრისტე ღმერთი ჩუენი, სადაც მოვლენილა სახიერება ზეცისა, თჳთ იგი ადგილნიცა ითმენენ სხუა-და-სხუათა შეჭირვებათა, სიყმილსა, სენსა, მიწის ძრას. მდინარენი გამშრალან, ზღუანი გაყინულან, და როგორც გვგონია, ნუთუ ჩუენც-კაც-ნიც-არა გვგრძნობთ გულ-ში რაღაცა ცვლილებას? სინიდისი ვის არ აწუხებს, ვის არ ამხილებს? მა-გრამ ვიყვნეთ სულ-გრძელნი და შეცოდვილებანი ჩუენნი მოვინანიოთ გულითადის მონანებით.—

— მაკმარე, მაკმარე, ფრანჩესკო! დადად ჰყო სებასტიანმა: ტვირთ-არს ცოდვა ჩემი, უსასტიკეს იქმნება დასჯა! მე არ შევიწყნარე ვედრება, ხვეწნა სასურველისა ქალისა ჩემისა; ვექმენ წინააღმდეგ სურვილთა გულისა მისისათა; ამაოს — სარწმუნებით და ანგარებით აღვხოცე უბიწო სიყვარული მისი; იგი მივეც მსხუერპლად ამაყსა თავის-მოყვარებასა ჩემსა... ჰე ასულო ჩემო! სატრფოო ასულო! მომეც მოტევება ცოდვათა ჩემთა. მოტევებასა ამას მივუმძღუნი ღმერთსა სულისა ჩემისა განსაწმენდელად.

წმიდაო მამაო, ფრანჩესკო! გმადლობ დარიგებისათჳს; შენ გიჩუენებია ჩემ-თჳს გზა ჭეშმარიტებისა; დამადგინე კიდეცა მას-ზე. ამ სამის წლის წინად გთხოვე განწყვეტა კავშირისა საშუალ ორთა უმანკოთა, ჩუენდა ერთ-გვამთა, არსებათა,-ახლა გთხოვ, გევედრები, გარდვაბათ როგორმე ესე განწყვეტილი ჯაჭვი სიყვარულისა. როგორც მაშინ, მგრეთვე ეხლაც, ყოველი ჩემი იმედი არის დამოკიდებული შენ-ზე. მითხარ, მაუწყე, სად არის ჯულიო.

ფრანჩესკო უმრავად უყურებდა სებასტიანს. იმას ფიქრში აცარმოსვლოდა, რომ რომლისამე ღონის-ძიებით მოეყვანა სებასტიანი სინანულში, მაგრამ დაინახა რა თავის სიტყვების ძალა გამოჩენილი იმა-ზე, ეს ჩუმათ კიდე იმა გულ-ში ჰ უთხრა: მკითხავ სად არის ჯულიო?-ჯულიო დაეძებს შენს ასულს მას აქეთ, რაც მე ვუთხარ მას: ბიანკა საქუეყნოთ არღა ჰსცხოვრებს მეთქი.

— ახლა, ამ წამს სად არის ის?

— ორი თვეც არის აღარ მინახავს: ახლა ვიღას ახსოვს ჯულიო.

— ღმერთო დიდებულო! იტყოდა გავიდოდა-რა სებასტიანი: მეოხ-მეყავ, მე, მომეც ძალი დათმობად ცოდვათა ჩემთა.—

მოასწია უკანასკნელმა თვემ უკანასკნელის წლისამ. გახუნდა ლაჟვარდი ცა ზოლონიისა საამოთ მინდორთა, შუენიერთა მთათა, ნოყიერთ ყანათა თითქოს ეგზნებოდათ ცეცხლი და ასდიოდათ საშინელი კუამლი. ჩინარი, ფშატი, ლიმონი იხდიდნენ უკავილოვანთა ფურცელთა თჳსთა; ვარდი, ჯამბახი, იასამნი ჰსჭკნებოდნენ უიმედოდ და ჰკარგავდნენ კეთილ-სუნნელებასა თჳსსა, მხოლოდ ერთი სევდიანი კვიპაროსი ჰყვაოდა, აღმაღლდებოდა, რათამცა დაობლებული, ნაღვლიანი შტოები თჳსი გარდაეშალა მოსაგონებლად დამარხულს ქუეყანასა ზედა. მდინარე შეჰსწყდა, ტკბილნი ჩქრიალნი ნაკადულთა არღა განისმიან, სირინი არღა დამღერენ, მდუმარებს და სიკვდილი ჰსუფევს მიდამო... შუენიერი ბაღიცა სებასტიანისა გამოიცვალა ეგრეთვე· თითქოს ცეცხლმა და ქარიშხალმა გაჰსწყუა, გაჰსტყუა დამატყუევებელნი სიტურფენი მისნი. მუნ ჰსცხოვრებდა ბიანკა, და რომელსაც გამოვიდოდა გავერანებულით კუალთა და ხეივანთა შორის, იტყოდით, რომ იგი იყო ანგელოზი ცისა, გარდმოვარდნილი ბნელსა უდაბნოსა შინა.

ბიანკა იყო ეგრეთვე შუენიერი, ვითარცა პირველი დილა სამოთხისა, და ეგრეთვე მხიარული, ვითარცა სხივი გაზაფხულისა.—

ალერსმა, ხვევნამ მამისამ მოუბრუნეს სიცოცხლე ბიანკას; ნებამა ჯულიოს შერთვისამ აღაყვავა ღიმილი დაწყუეთა ჩელდა მისთა, რომელნიცა უჭკნებოდნენ უიმედოდ, რომ არ უსრულდებოდა მას გულის

საწადელი. მხოლოდ ჯულიო-ღა აკლდა, რომ აღქაფებული იყო ფიალა ბედნიერებისა.... დაუძახებდა რა მამიდას, ბიანკა გამოვიდოდა და დარბოდა აოხრებულს, განცრცვნილს ბაღსა შინა, და მოუთმენელად იძახდა: ჯულიო? სად არის ჯულიო? არ მოვა ჯულიო?

იმ დღეს ჯულიო დაბრუნებოდა კვალად; იფიქრა მიდი წავალო, ეხლავ კიდევ ვიხილო ბიანკაო, და სადამოს ჟამს მიუახლოვდა-რა სებასტიანის ბაღს, უეცრად მოესმა ხმა ბიანკასი. იგი გარდახტა ღობეზე და გარდაეხვია ბიანკას.

— შენ ხარ, ჯულიო?

— შენ ხარ, ბიანკავ?

— ახ რა ბედნიერებაა? იძახდა ბიანკა: განა კიდევ მოვიგონებდი ნახვას? ჯულიო პასუხის ნაცვლად ჰკოცნიდა და ეხვეოდა.

— ახ რამდენი ტანჯვა, რავდენი მწუხარება გამომივლია შენს აქეთ: მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ რავდენს უბედურებაზე ყოფილა დაკვეთილი საბრალო გული ჩემი, ჯულიო!

ამა მცირედის სიტყვებით ენიშნა ჯულიოს სრული ისტორია ბიანკას გულისა.

— ჯულიო! რატომ არას მეტყვი, რად ხარ აგრე ნაღვლიანი? მაუწყე. გიყვარვარ კიდევ უწინდელივით?

— მიყვარ-ხარ?... სული, გული....

— მეყურება, მეყურება, ჯულიო... იცი-რა? მამამ ხომ დამლოცა, დამრთო ნება შენის შერთვისა

დავალს, გუმბეს, გიგზავნის, მაგრამ არვიცი-კი რა არის მიზეზი ესწერის უეცარის დაღმილებისა. ჯუ-ლიო! ახლა მეწივარ, ახლა შევიგრძენი ჯიქარის წერა-ც.

ჯულიო, ვითარცა განმზადებული დასასჯელად, ჩხითრთოდა და გული მალ-ულვა პასუხის გზა. საში-ნელმა ფიქრმა გაიელა მის გულ-ში და აღმოაჩვეთქა შენებ-ზე.

— ჯულიო, ჯულიო! რა არის? რასა ჰკრთი, ვერ რად გამცემს? მოვედ, მოვედ ჩემდა წიადად.... მომეხვიე გულ-ზე.... ბაგეებით დაგამშვიდებ აღრეუ-ლებასა შენსა.

— ახ სოფელო! ახ გაცნო! მოჰყვა ჯულიო ამო-სვრით: მაშინ მიბრუნვენ სიცოცხლეს, როცა მოახლოვებულა უკვე ჟამი აღსასრულისა.—ოხ, რა სა-ცოდავი საჩუქარია!.... რომელი გლახა მიიღებს ესწერის შაჰაბს წყალობას? ვერ წამიცეს უსამარ-თლობით უძღარჩუასესა საუნჯე ცხოვრებისა, ვერ განმაშორეს დამატყვევებელსა არსებასა, რომელთა-ნაც ვიყავ მე თვით სიყრმიდგან შეთვისებულ გული-თა და გონებითა, და ახლა მამლევენ თითქმის სიკვდი-ლის დროს გაცოცხლებულსა სადგურსა ამა არსებისა ახლა საჭირო არ-და არს იგი; გარნა მას, რაჲცა ასრულდებულებდა ურის ჭურჭელსა ამას, არა უარ-ვჰყოფ, მოვიხმარ, გამოვიყენებ ვითარცა ნადუქარს რაჲსამე მონაგარს.—ბიანკავ, ბიანკავ! შენ არდა მინდიხარ: მომეც მხოლოდ სული, გული, გრძნობანი: მე მათ შევკეთვისებ, აღვფრინდები, გარდავალ საუკუნოდ.... ბიანკავ! უტკბესე მეუღლე,

გაკვრინდეთ შორს, შორს...

ბიანკას ჯერ ვერ გაეგო აღრეული მოთქმა ესე, იშიშვოდა, თრთოდა; მერმე მიხვდა, რომ იგი ელა-პარაკებოდა სასუფეველის მოახლოებასა-ზე.

— ოჰ ჯულიო! ჴმა-ჰყო ბიანკამ: მესმის, მესმის; უტყუვე დაჰკრას საათმა აღსასრულისამ; მე არ მეშინის; ჩვენ ვიქმნებით ერთად, უმეტეს ერთად, ვიდრე აქამომ-დე.

— ერთად, ერთად, ბიანკავ.....

---

სრული ბოლოწნაა იყო ეკლესიებ-ში. წმიდის პეტრეს საყდარ-ში თჳთ ეპისკოპოსი, შემოსილი თეთრითა სამოსელითა, გარდაიხდიდა დიდებით უკა-ნასკნელს რიგსა ქრისტიანობისას. დასასრულ გარ-დმოვიდა რა იგი საკურთხეველით, მოეხვივნენ მას გარეშე ურიცხჳენი პატრონი, დიაკვანნი, და მრთელმა კრებამ იწყო მუხლმოდრეკით აღვლებად პანაშვიდისა თავანთათავა-ზე. საშინელ იყო ესე უკანასკნელი ღამე მეათასის წლისა ქრისტეს შობიდამ! ლოცვანი არ გრძელდნენ გოდებათა-გან: ორღანნი ურეკდებოდა ქვითქვითის კმა-ზე — არაოდეს პანაშვიდი არა ყოფილა გრძელ ამმკვრეველა, ესრეთ მწარედ შეერთე-ბული საშინელებასა-თან! ყოველნი იყვნენ დარწმუ-ნებულნი, რომელ ესრეთის საათის შემდგომ შეხვდე-ბიან, შეიყვანებიან იგინი სულთა მიცვალებულებისათა,

იხილვენ წინაპართა თჳსთა, აღდგენილთა საფლავე-ბიდგან აჩრდილებივით, საქმითა, გრძნობითა, გონებაითა, შეკრივდებიან ერთად და წარსდგებიან წინაშე და-სასამართლის მსაჯულისა; რომელ თუ სოფელი, გა-ნსდვამს და სამძღვართა თჳსთა, აღსდგება უეცრად მიწიდგან, ვითარცა სასტიკი მოწამე ყოველთა კაცის მოქმედებათა, რომელ თუ საქმენიცა მათნი, გან-ხორციელებულნი, განსულდგმულებულნი, შეიჭურ-ვებიან სიტყვითა და წარმოსთქვენ სამღურავს და უკეთრებას პირის-პირ კაცთა.—

საშინელ იყო ღამე-ესე წმიდის პეტრეს ეკლე-სია-ში, უსაშინელეს იყო გარეთ.—წყვდიადიანი ღრუბელნი, ვითარცა ვეშაპნი ჯოჯოხეთისანი, მიმოფრინავდნენ ჰაერში. არ იყო წვიმა, გარნა რაღაც ნაკადელი, თითქოს გამდნარი გოგირდი მოჰფრქვოდა ფრთეთაგან ამა ვეშაპებისათა. აყუ-დებულთა გარეშე მთათა აპენინისათა გაჰქონდათ ზანზარი და ეხვიათ კჳამლი და ბურუსი, ქარიშხალი ზუზუნებდა, ცას და ქუჩუანას გაუდიოდათ განგრ-ძელებული მიყრუებული გრიალი... მოახლოვდა შუაღამე.—

წამოსხმული თეთრის საბურველით, თმა-ჩამოფუ-შვილი, იდგა ბიანკა მხოლოდ დანიშნულის ალაგს. საფლავის ქუჩნი, ჯვრები, აკლდამები, კუბოები აღმართულებოდნენ გარეშე... მოიხმა ფეხის-ხმა და ანაზდეულ აღმოჰსჩნდა მის წინაშე ჯულიო.

— ჯულიო!

— ბიანკა!

ჯულიო წარიკითხავდა ნიანკას ლოყებ-ზე, თუ მას რავდენი ტანჯვა, განწირულება სულისა და გულისა გამოუვლია ესრედ მცირედს ჟამს. ნიანკა წარიკითხავდა ჯულიოს თვალებ-ში, თუ ვითარი უცნაური ცეცხლი ჰსწვავდა, აოხრებდა გულსა მისსა. —

— ნიანკავ! აჰა სამყოფი ჩუენი, ეტყოდა ჯულიო და დაანახვებდა ერთს საფლავს. გესმის, თუ ვითა იმქრის ადგილი, თუ ვითა გვრგვინავს ცა!......

— ოჰ, რა საშიშარი არს, ჯულიოვ!...

— ესე არს აღსასრული ქუეყნისა და კაცისა, ნიანკავ: მოვედ, მომეყარ გულ-ზე: სული, ამომა-ვალი მკერდიდამ უკათბნებულ გეოფს შენ, მოვედ, მოვედ, ნიანკავ....

— ოჰ... ვცოცხლდებით.

ამ დროს შავი დრუბელი შეგვროვდა საშინლად, შეირყა და გარდაიხსნა მათს თავ-ზე ელვითა და მე-ხილითა. —

— ოჰ, საყუარელო ჰმაო! ჰსთქუა ჯულიომ და ... მომაკვდავნებული ნიანკა. გესმის, ჰსცემს ... სწენული საათი! მიგვიწოდებენ! განვშორდეთ... ... გავცოცხლდით, გავცოცხლდით... უკუნითი უკუნი-სამდე საცხოვრებლად...

— გავ — ცოც — ხლდი — ი....

გარდაიარა საზარელმა ქარიშხალმა, განვლო საშინელმა შუაღამემ, ირაჟრაჟა, გათენდა, აღმოვიდა მზე და განანათა იგივ დღე, იგივ ქვეყანა, იგივ კაცნი.... იგივ მათნი საქმენი....

---

ორი უსულო გვამი იდო ბოლონიის სასაფლავო-ზე: ერთი იყო ბიანკა, მეორე ჯულიო.... მოხუცებული კაცი, გათეთრებული ჭაღარით, დაზვრილი მწუხარებით, გულ-კელ-დაკრეფილი, უძრავად ადგა მათ თავ-ზე, ვითარცა ცივი მარმარილოს სახსოვარი: გამვლელთა იცნეს მას-ში სებასტიანო რიჩჩი....

---

# მეფის ერეკლე მეორის განჩინება (*)

დღეითით, ეს მოწრივის დამქრობის განჩინება დაიწერა ჩუჱნ ერეკლე მეორის, საქართველოს მეფისაგან, თანა-დასწრებით ჩუჱნის მის უფლის-წულის გიორგისა, ყოვლად სამღჳდელოთა საქართველოს ეპის-კოპოსთა და ბრწყინვალეთა თავადთა ყოველთა ჩუჱნის კარის მოხელეთა და შემდგომთა დარბაზის ერთა, და ყოველთა სამღჳდელოთა დასთა, ეგრეთვე ყოველთა

(*) დიდი ხანი არ არის, რაც მოვიპოვეთ ესე დოკუმენტი, საიდგანაც მკითხველი თითქმის მსცნობს მეფის ირაკლის ცხოვრებასა, მაშასადამე გვონებთ ჩუჱნის «ც ი ს კ რ ი ს» მკითხველნი დაშთენ კმაყო-ფილ, ამ გვარ ჩინებულის სტატიის დაბეჭდვისა-თვის.

რ. ჭ.

საქართველოს ჩინებულთა. რადგანაც საქართველოს ქუეყანა ლეკთაგან ამდენ ხანს ამისთანას მოუსვენებელს მტრობით შეიწროვდა და მოუთმენელს ჭირს მიეცა, ჩუენც მრავალ-გზის ბევრ რიგის გარჯილობით ვეცადენით, მაგრამ არ იქნა ისეთი წამალი და საქმე ვერ ვიპოვნეთ, რომ ჩუენის ქუეყნისათჳს გვერგო რამ. ამისთჳს ამ ხანად, ღუთით, ყოვლის უმჯობესად და უკეთესად გამოვარჩიეთ და საერთოდ ყველამ ვამჯობინეთ, რაც ამის ქვემოთ დაგვიწერია.

ა — თუ დიდი მტერი ორი და სამი ათასი კაცი და კიდევ მეტი არ შეიყაროს, და ამისთანა მალით ჩუენს ქუეყანაში შემოსვლა არ მოინდომოს ათასის კაცისათჳს და მეტ ნაკლებისათჳს და კიდევ ასისა და მეტნაკლებისა-თჳს ეს გაგვირჩევებია: რაც თავადი ანუ მოხელე და არა მოხელე, ანუ აზნაური მოხელე და არა-მოხელე, გლეხნი მოხელენი თუ მსახურნი, თუ მოყადნენი, თუ ხიზანნი რამდენნიცა რომ იყვნენ ერთს სახლ-ში და ოჯახ-ში. თვითოს თჳს მორიგება-ში ჩაგვიგდია და დაგვიწერია და სხუას დავთარ-ში გაგვირჩევია. სარდლებსა, მინბაშებსა და უზბაშებსა გარდა, ყოველი კაცი თორმეტ თუმე-ზე გაგვიყვია, და როგორათაც დაგვიყვია. ერთი დიდი საერთო დავთარი ჩუენ მოხელეებთათჳს მიგვიბარებია, და თვითო დავთარი უზბაშებისათჳს მიგვიცია, და სხუა სოფელ-და-სოფელ მებატონეებთათჳს და მოხელეებთათჳს მიგვიცია, და ასე გაგვირჩევია ყველასთან, როგორაც ამა-ში დაგვიწერია.

ბ — ყოლის ბურის მაგიერი სურსათი და ღვინო
რომელიც აქამდი ჩუენგან ჯარისა-თჳს ეთხოვებოდა
გლეხ-კაცსა, აღარა ეთხოვოს, თავიანთს მოურავების
დაშქრობაში, თჳთონ მოიხმარონ და მეტი და ნაკ-
ლები ამ დაშქრობაებ-ში თითონვე ღჳთით შეასრულ-
ონ, ჩუენ ამისი მთხოვნელნი აღარა ვართ. ჩუენს
სახაზო ყმას, ყოლის ბური და კულუხი ჯარისათჳს
რომ ერთმეოდათ, ამას იქით აღარ გამოერთმევათ.

გ — ჩუენ თჳთ-და-თჳთ დაგვიწყერია კაცნი. თვეცა
და კაცაცა სახელობ ჰსწყერიან; თჳთოეული იმ თჳთო
ბირჭულის რიცხვის წინა დღეს მოვიდეს სადაც
ნამდვილად ჩუენ-გან დაბარებული თავადი, აზნაური
თუ გლეხი. თუ არ მოვიდა თავისავე სურსათის
თავდარიკით. იმას ისე დაემართება, რაც ამის ქვე-
მოთ გარდახდევინება დაგვიწყერია.

დ — რომლესაც ეს ჯარი ვადა-ზე აქ ქალაქ-ში
შემოგვეყრება, ვინ იცის რომ ჩუენ ქართლს და
და კახეთს, ყაზახბორჩალოს და არაგვ-ზე მიშველება
და მდევრობა მოგვინდეს, თუ თავის სურსათის მაგიერ
რომელსამე კაცს თეთრი წამოუღია, ის თავის სურ-
სათის როგორც უნდა ისე მოიხმაროს; რომელსაც
ბური, ქერი და ღვინო ექნება, თავადთ და აზნაურთ
გარდა, მისის წადილის გზა გლეხს კაცს ჩუენ უნდა
მივჰსცეთ, ერთის თჳს სურსათი — ხახსნილო და სა-
მარხო ბური, ქერი და ღვინო, თავადსაც, აზნაურსაც
და გლეხსაც შემდეგნისავით სრულებით უნდა ჰქონ-
დესთ: თორემ, რადგან ჩუენ სურსათს არას ფერი-
სას აღარ გამოვართმევთ, ჩუენ რომ ჯარს სურსათის

ძლევა დავუწყოთ, დიახ ბევრი მოვა და ჩუენს სარქარს სურსათის მიცემის ბინა არ ექნება. ყველამ იცოდეს, რომ სურსათის წამომღება თავისს სახლშიაც ჭამა და სმა მოუნდება: ბარემ წმინდის სარწმუნოების და ჰსჯულისთჳს, და მტრის შეშინებისათჳს, და სამსახურისა-თჳს ამ ერთს თვეს აქავ დახარჯოს თავისს თავ-ზედ. —

ე — თუ ვინმე ავათ გახდეს, — ეს ღმერთმან აშოროს, — და ან სასიკვდილოთ ძნელად ავათ-მყოფი ჰყვანდეს მამა, დედა, ცოლი, შვილი, ძმა და ან და, რომელი თვეშიაც წამოსასვლელი იყოს ან კიდევ მოუკვდეს რამე, ესეც ღმერთმან აშოროს — ამისი ამბავი იმისმან მებატონემ, მოხელემ და იმისმა სოფლის ჯარის-კაცმა უნდა მოგვიტანოს და დაგვაჯეროს: ამას ვერას უსაყვედურებთ. მაგრამ თუ ტყუილად მოიგონა ვინმემ ავად-მყოფობა, რაც გარდასახდენი არის დაწესებული, მას ერთი-ორად მიადგება. თუ კიდევ სოფლის ჩუეულებისა-მებრ, მემკვიდრე თუ ხიზანი კაცი აიყაროს და სხვაგან წავიდეს, ეს ამბავი იმ სოფლით შეგვატყობინონ იმისმა მებატონემ, მოხელემ და იმ სოფლის ჯარის-კაცმა: რო ესა და ეს აყრილი კაცი ამა და ამ სოფელ-ში გავიდაო, რომ იქიდგან მოვითხოვოთ ის კაცი; თუ არა რომელ, სოფელზედაც ჰსწერია იმასვე დაუწყებთ თხოვნას და იმანვე უნდა გვიპოვნოს. —

ვ — თუ ვინმე ამ კაცებთაგანმა წაახდინა რამ სოფელ-ში, რომელშიაც მავლენ, — პური, ქერი თუ ღვინო, ბატი თუ ქათამი, ძროხა, ცხვარი თუ ღორი

ბაღი თუ ვენახი, ღობე თუ ჭიგო, მოსავალი თუ ჭირნახული, იმას თავისი სარქარდა, მინბაში და უზბაში ავად მოეპყრას და გარდაახდევინოს, თუ ჩვენ ვიქმნებით იქ, ჩვენ გარდავახდევინებთ. მაგ-რამ, სოფლის კაცი ბზესა, შეშასა და თივას კი ვერ დაუშლის, და თუ გამოსაყენებელი სახლის ხე და ხის იარაღი იყოს-რამ ვერცა ის უნდა დააწყვევინონ.

ზ — ღვთით, მაშინ როდესაც ჯარი შემოგვეყრება, პირველს დღესაც და გასტუმრების დღესაც, და აგ-რეთვე ყოველ კვირას სარქარდა და მინბაში სანს უნახავს ყველას: იმ მორიგე-ში თვითოეულს სამყოფი ტყვია და წამალი სრული უნდა ჰქონდეს იმ ერთს, და ესრედ ყველას რომ ვნახავთ, იარაღს გაუჩხრეკთ, და ვისაც არ ექნება სანა, იმას ცუდად მოვეპყრობით.

ტ — რაც ამ ჯარს ეჭირება, ყველა გაგვირი-გებია: აქიმი, ჯარა და ურდო-ბაზარი. —

თ — ვინც ქართლისა და კახეთის ადგილ-მიცემის კაცნი არიან, ღუქნის პატრონნი: ქართველი, სომეხი, ფრანგი, თათარი, თუ ურია, თუ რა მილეთის კაციც უნდა იყოს ამათს ბადალს ვეაბულობთ. აგრეთვე მწყემსი, მებაღე, ხაბაზი, მზარეული, გუთნის-დედა და შემძლებელი მეწისქვილე — ამათს ბადალსაც ვი-ყაბულებთ და არც შეიძლება, რომ ამათი ბადალი არ მოვიდეს: უეჭველად გარდავახდევინებთ. თუ ვინმე ვაჭართაგანი გზას გასულა და ქართლისა და კახეთისა მამულში არ იმყოფება იმას ვერას უსაყ-ვედურებთ და არ მიგვიცია მურახასი თავის მორი-გობისათვის. —

ი — რადგანც წესდებულებაა რომ ხუთის-თავი, გინა ათის-თავი ღმერთის მიერთვას, ამისთჳს თჳთოეულმა ჩუენგანმა წელიწადში ერთი თვე მას მიართვას და სამსახური უჩუენოს ჩუენის ქუეყნის და ჩუენი თავის სასარგებლოდ.

ია — ამ საქმეში მირჩეულმა თავადმა თუ დააშავოს რამ, იმას ორმოც და ათი თუმანი წაერთვას. თუ თეთრი არ ჰქონდეს, ჯანსი გამოერთვას და გამონართმევი ჯარიმა, ჩუენის ბრძანებით, სხუა სასარდლო ჯარს მისცეს. —

იბ — ამ თავადმა თუ წინა-აღმდეგი რამ იკადროს: ან ლაშქარს დააკლდეს, ან კაცი დააკლოს და ან სხუა რაიმე საქმე დაიჭიროს წინა-აღმდეგი ამ ლაშქრობისა, იმას ოცი თუმანი წაერთვას; თუ თეთრი არ ჰქონდეს, მამული გაჰყიდოს, და გამონართმევი ჯარიმა ჩუენის ბრძანებით, სხუა სასარდლოს ჯარს გაეყოს. —

იგ — თუ აზნაური თავისს რიგზედ დააკლდეს ლაშქარს, ან მის შესახები ერთ-ერთი რამ დააშაოს, ათი თუმანი ჯარიმა წაერთოს და გამორთმეული ჯარმაც ჩუენის ბრძანებით სხუა სასარდლო ჯარებს გაეყოს.

(განგრძელება იქნება შემდგომს წიგნში.)

## სამგზავრო წერილები

### 1 აგვისტოს 1857 წ. ქ. გორს.

---

დღეს დავბრუნდი ისევ ქ. გორს. გორის ახლო თუ არის რამე შესანიშნავი საგანი და იხსენება სადმე რამ, ეს არის უმეტეს უფლისა ციხე უფლოსისა აღშენებული როგორც მოგვითხრობს ისტორია უფლოსისაგანვე. უფლოს იყო შვილის-შვილი ქართლოსისა, ქართლის დამაარსებელისა, და ამითი იფიქრე, რავდენის ხნისა უნდა იყოს ეს ციხე. უფლის ციხე მდებარეობს გორიდგან შვიდს ვერს-ზე. ციხისა მის მთის არის სოფელი, რომელსაცა ეწოდება მისივე სახელი «უფლის ციხე», ამ სოფლის მარცხენა მხარეს არის სალი კლდე ამაღლებული, რომელშიაცა არის გამოჭრილი ზემოხსენებული ციხე. ციხის მთის მოუდის მცირე წყალი (არხი) გვონებ ადრე უნდა მოდენილი ყოფილიყო ამ ალაგს მდინარე მტკვარი, ამისათვის რომ მთაში გამოქვაბული კლდე აქვს, სადაცა თხრილით ადის გზა ციხეში, და როდესაც ტივებით მოსდგომიან ვიზანტიით მტერნი; ტივები მოუბავთ ქვეშ იმ გამოქვაბულს კლდესთან, სადაცა

სჩანს რკინის პალოებ ნასოები ადგილები. აქედგან ასვლა ციხეში ჩჳენ ვერ გავბედეთ: პირველად დაგვიშალა არხმა, ამისთჳს რომ პატარა არ არის, და მეორედ სიბნელემ თხრილისამან. სოფლის ნაცვალმა, კაცმა თითქმის მოხუცებულმა, რომელიცა ჩუმად ბუტბუტებდა, ვგონებ ჰკჳრობდა ჩჳენს უცნაურს იმის აზრით მოგზაურობაზედ, ამაზედ წარმომიდგა კომედია ცხონებულის ანტონოვისა «ტივით მოგზაურობა» სადაცა იძახის ერთი გლეხი მოგზაურებზედ «ნეტარ ვიცოდე რას დაეხეტებიან ამ გახიაკებულის კლდის სანახავათაო, სადაცა ჯოჯოებ-ბის მეტს კაცი ვერას ნახავსო» გვირჩია ასვლა სხჳა გზით, გზა ეს არის მარჯჳენა მხარეს, რომელზედაცა ასდიხარ მაღლა ვიწრო გზაზედ. გარსა ჰქონია თხრილი, ზოგი ერთი ალაგი ამომსებული. რა აველით სულ მაღლა, დაგვხვდა ნამდვილის კლდისაგან ამოჭრილი ალაყაფის კარები! ახ, საყვარელო მეგობარო, უნდა იცოდე, თუ რა გრძნობით გარდავაბიჯებდი ფეხსა, უფლოსითგან დაწყობილი ვიდრე უკანასკნელის გიორგი XIII-მდინ, რაც მეფენი გარდაცვლილან სულ იქ წარმომიდგნენ თვალთ წინ!... თჳთოეულად აღწერა, იმ ოთახების, პალატებისა და სხჳა მოითხოვს დიდსა დროებასა და ამასთანავე შრომასაცა. კარგათ იცი ამის გამოდგომა ჩემს მოგზაურობას დაბრკოლებას მისცემს. ყოველი ოთახი, (უეჭველად ოთახები მეფის დარბაისელთა და მხლებელთათჳს ყოფილა) გამოკვეთილია კლდითგან, ამასთანავე ჭერი, კლდები თუ სხჳა, სულ ჩუქურთმით არის გამოჭრილი. ქუჩები, ბაზრები

თუ მეადნენი, სულ სალი კლდეა და ჩუქურთმა... სამეუფო პალატამ გამაოცა!! წარმოიდგინე გრძელი დარბაზი, რომელსაცა ორი სვეტი აქუს მიდგმული, საკვირველის ჩუქურთმით ამოჭრილი, ერთი მათგანი ჩამოქცეულა, თავს უოჲილა დადგმული ტახტი აგრეთვე ქვისა, აქეთ იქით-აქუს გასავალი სხუა ოთახებში, რომელნიცა აგრეთვე არიან ამოჭრილნი სხუა და სხუა სახით მშვენიერის კილოვნებითა. ვი-ჯექი ნახევარი საათი თითქმის მეტი საშუალ ამა საკვირველის პალატისა, ვუყურებდი ოთხკუთხივ გაკვირვებით და არ ვიცოდი სად ვიყავი, მივეცი თავი ჩემი ჩვეულებრივ ფიქრსა, წარმომიდგა უფლოსი მჯდომარე ტახტზედ, რავდენისამე ათას-ათასის წლის წინათ, და რა მოვედი გონსა, ვნახე რომ მომდიოდა ცრემლი ნაკადულსავით. ვხედავდი, რომ ყოველი კლდე და ყოველი ქვა ამა უცნაურის ციხისა, თჳთო-ეული ჩუქურთმა, რომელშიაც არის არეული კილო-ვნება სომხისა, სპარსეთისა, ვიზანტიისა, არაბეთისა, თითქოს ჩაიდგავდა სულსა, გამოჰსცემდა კმასა და მომითხრობდა გავლილს, შორის დროს საქმეებსა. გამაყრუოლა ტანში და მეცა კიწუე გარეშოების მიბაძვით ქნარის მომართვა და მჯმუნვარებით დავმღერა:

ნეტარ შენ ციხევ მოგცა ან ენა,
რომლით მამცნო მე: ვინ აღგაშენა?
ვინ ჩაგიყარა შენ საფუძველი,
ან შემოგევლო რომლისა კელი;
განიზრახა ეგ შენობა ვინა,
ანუ ვის აქუნდა შენშიგან ბინა?

ვინ იყო პირველ შენზედ მფლობელი,
ან რომელის თემის იყო მპყრობელი?
მრქვი ციხევ! ეგე დუმკა მაკმარე,
შენის ხილვით მჭვრეტ, რომ ვარ ჯემუნვარე!
ჭვალად ფიქრს მიკეც მაგ შენს ხილვაზე,
და ცალკე ამ ტკვრის შუილის ხმაზე!
ესრედ ნარნარად ადრეც იქნება,
ამა მტკვარს აქუნდა აქეთ დინება;
იქნებ ვიზანტით გარს გადგა მტერი,
და გაწუხებდა ვით ღონიერი?
იქნებ ეს მტკვარიც გმუხთლობდა შენა,
რა ჯერ არ გაქუნდა ზენარის რწმენა?
ვინ იცის, რავდენ გზის ულხენიათ
მეფეთ ამ ალაგს,—ხან უწყენიათ;
ვგონებ რავდენ გზის სისხლი დაღვრილა
მტერთგან ამ ალაგს-და ხან აყრილა.
ვინ იცის რამდენ გზის მეფეთ სჯული
დაუდვიათ აქ გონიერული;
ვინ იცის აქუნდათ ვით სჯულის დება;
აქუნდათ ვითარი ან ჩვეულება!!!
მრქჳ ციხევ! მეფე სად ისვენებდა,
ანუ თუ სადილს სად იგემებდა?
ხომ არ გიხილავს მეფა თამარი,
რომელს დამღერდა რუსთველის ქნარი?
არ განგიცდია ხომ მისი სახე?
ნეტარება შენ თუ რომე ნახე.

. . . . . . . . . . . . . . . . .

აქ ჩემი აზრი ირყეოდა. რამდენი სხჳა და სხჳა ფიქრი

შეარყევდა ჩემსა აზრსა, ვერა ვპოვებდი სიტყვებს რომლითაც წარმომეთქო გრძნობა ჩემი, მოვედი გორში და ფიქრი ჩემი კიდევ იქით მიჰფრინავს. გარემოებაში სრულიად მყუდროება და სიჩუმე მეფობდენ. სადაცა ყოფილან მეფენი, იქ ხედავთ მხოლოდ ფრინველებსა.— თავს არის ეკკლესია, ის კი აგურით არის ნაკეთები, ამასთანავე რასაკვირველია მაშინ, როდესაც სარწმუნოება ქრისტიანობრივი შემოსულა საქართველოში. ზედა წარწერა, ანუ სხუა რამ ნიშანი რომლითაცა შეიძლოს კაცმა შეტყობა რისამე, არა რაჲ იპოვება, უთუოდ უნდა ყოფილიყოს, მაგრამ სიძველეს და დროებას ყოვლადვე მოუსპია. საყვარელო მეგობარო ჩემო, მხოლოდ ამაზედ გებრალებოდე, რომ როგორც შემშვენოდა ისე კარგად ვერ გავჩხრიკე, რადგან შეუძლოთ შევიქმენ და გამოვეშურე სადგომს.— საითკენაც მივიხედავ, ყოველგან მესმის ქება მწერალ ქალებისა, იმათი ლექსები უნდა წავიკითხოთ ცისკარში, ჩემთჳს დიდი შემთხვევა არის იმათის ნახვისა, თ. ზ. ა. აღმითქვა გაცნობება და ვაპირებთ ამ დღეებში იმათ სოფელში ასვლას.

შენი კ.

---

## მკითხველთადმი.

სიხარული, რომლითაცა აღავსებს ყოველთჳს გულსა და სულსა ჩემსა, ოდეს მივიღებ თჳთოეულსა ნომერსა ჩუენის ჟურნალისასა, არა მალმიძს გამოვსთქუა არცა

ენით, არცა კალმით. აღვსებული ამა გამოუთქმე-
ლითა გრძნობითა მე დიდხანს მივეცემი რომელსამე
უსაზღვროსა დუმილსა. დიდხანს ვსჭვრეტ ამა სა-
სარგებლო და სასიამოვნო საგანსა და შემდეგ რაო-
დენისამე დროჲსა კელს ვჰყოფ ფურცელთ დაჭრასა
და ვიწყებ კითხვასა დიდის ყურადღებითა, რადგანც
მივეცემი უკვე სულის და გულის მყუდროებასა.
ესრეთსა მდგომარეობასა-შინა ვიყავ ოდეს მივიღე
პირველი წიგნი ამა 1858 წლისა. ვიწყე ფურცე-
ლთა დაჭრა და ოდეს დავასრულე, გადმოვშალე, და-
ვხედე და დავიწყე კითხვა მშვენიერის სტატიისა: უ.
მამაცოვისა «მიზეზისათჳს ვაზის სნეულებისა და მისი
წამლობა» ვგონებ რუსულით გადმოღებულისა, თუმცა
არა ჰსჩანს. ღმერთმან ინებოს განმრავლება, ამ გვარ
სტატიათა, ფრიად სასარგებლოთა. იქმნება რომელ-
თამე გამკიცხოთ ესრეთისა უკანონოებისათჳს რად-
განაც ვიწყე კითხვა არა დასაწყისიდამ, გარნა მაზედ
მაქუს მცირე მიზეზი. ზემო-ხსენებულ სტატიამდინ
აღმოჩნდნენ მცნობნი ჩუენნი მწერალნი, დიდსებნა
რომელთა ფურცელთა ვიცით, ხოლო აქედამ იწყებს
აღმოჩენა ახალთა მწერალთა: უ. უ. მამაცოვმა და
დამალულმა ქვეშე ერთის ასოჲსა, ესე იგი თ. ინებოს
ღმერთმა განმრავლება თანამშეწეთა ჩუენის ჟურნა-
ლისა.

იქნება, საყვარელნო მკითხველნო! მოელით ჩემგან
რომელსამე გრცელსა სტატიასა, ამ ახალ მწერალთა
ზედა. არა. განრჩევა მათი მიმინდვია სხუა მწერა-
ლთათჳს, რომელთა შორის უკანასკნელი მე ვარ.

სურვილი ჩემი არს მდგომარეობს მხოლოდ ერთსა საგანსა შინა, ანუ, გსთქუათ ნამდვილათ, ერთს ლექსა შინა. ამ გვარი შენიშვნა- ანუ ჰსჯა, არ იქნება უსარგებლო და საკიცხავი, რადგანაც ძველი ქართული ენა მიეცა დიდსა ცვლილებასა მიზეზისა-გამო სხჳსა და სხჳსა. მცირე და მართალი ჰსჯობს დიდსა და სიცრუვესა.— ესრეთ გსთქუათ მას ზედ.

აქამომდე არავინ არ მიიღო შრომა განმარტე-ბისათჳს ჩუენის ქალაქის სახელისა და მართ მწერ-ლობისათჳს მისისა, თუმცა უპირველესი საგანი ჩუენ-ნის ჟურნალისა უნდა იყოს მართმწერლობა, ფილო-ლოგიური შენიშვნა და სხუა. აქამომდე ზოგნი ჰსწერენ: ტფილისი, ზოგნი თფილისი, რომელი ტფილის და რომელი მართალია?

ნამდვილი წოდება ჩუენის ქალაქისა ვგონებ უნდა იყოს თ ბ ი ლ ი ს ი და არა ტ ფ ი ლ ი ს ი, თბი-ლ ი ს ი ს ქ ა ლ ა ქ ი და არა ტ ფ ი ლ ი ს ი ს ქ ა ლ ა-ქ ი. ვინაითგან წოდება ესე მიუღია მას, როგორა-თაც მოგვითხრობენ მწერალნი, თ ბ ი ლ ი ს წ ყ ლ ი-დ ა მ: (და არა ტფილის წყლიდამ:), აბანოებიდამ, რომელნიცა მრავალნი არიან აქ. ამ ჰაზრზედ მოგ-ვიყვანენ ჩუენ სხუანი მრავალნი ალაგნიცა, სადაცა იყო თბილი წყლები და რომელნიცა იწოდებოდნენ ამავე სახელად. მაგალითებ: ძველად იყო ნ უ მ ი-დ ი ი ს ქალაქი ტიბილის, დიდებული თბილის წყლე-ბითა, და აქამომდე ალაგსა მას, სადაცა იყო აღშე-ნებული ქალაქი ესე უწოდებენ ტიჳლისი,-Тифлисъ, ხოლო ქართულად უნდა ვსთქ.

პაში, ბოჰემიის საკოროლოში, არის უცხო ქალაქი ტეპლიცად სახელ-წოდებული, სახელი ესე მიუღია მას, როგორათაც ჰსწერენ, მაგალ. კლაპრ-ოტი (Клапротъ), სლავიანურის ანუ რუსულის ლექსიდამ Тепло თბილი. ხმარებს ტ ნაცვლად თ. ანუ ფ ნაცვლად თ არ შეშვენის ჩუენსა ენასა. და თითქმის ჰკარგამს მნიშვნელობასა ლექსთასა. რა იქნება ვსთქუათ: ტავი ნაცვლად თავი; ტოფი ნაცვლად თოფი; ტოკი ნაცვლად თოკი; თელავი ნაცვლად ტელავი და სხუა.

დასასრულ უმორჩილესად გთხოვთ და[illegible] ვიოთ ეს ჩემი პაზრი, უკეთუ ვარ შემცდარი. მე [illegible] მეწ-ყინება მსგავსად რომელთამე მწერალთა, რომელთა-თჳს კრიტიკა არის სასიკვდილო ნივთი, ამ შემთხვე-ვაში სრულებით განვეყოფ ჰსჯსა უ. კარამზინისასა, რომელსაც უთქუამს: « Никто не предпиметъ законовъ публикъ; она властна судить и книги и сочинителей.»

ალ. სავანელი.

ქ. თბილისს.

—

# მიწის ძვრა იტალია-ში

— იტალიაში, ნეაპოლის ქალაქში ამ ახლოს ხანში მომხდარა საშინელი მიწისა-ძვრა. ხუთი ქალაქი მეტი თითქმის მიწასთან გაუსწორებია. ზოგი ამათგანი ისე დანგრეულია თურმე, რომ მნახველი არ ირწმუნებს, ქალაქი ყოფილა იქა თუ არა? რიცხვი მკვდართა შეადგენს ოც და ხუთი ათასს სულს. მთავრობას მრავლის დონის-ძიებით ზოგნი ერთნი მოურჩენია სიკუდილისაგან, ასე რომ ნაქცევებისგან ზოგი ცოცხალ-მკვდარი ამოუყვანიათ და ზოგი სრულებით მრთელი. ზოგნი ერთნი ცოცხლად დაფლულან მიწაში. მიწის-ძვრის ჟამს ერთს აფთიაქში, წამლეულის გამსყიდავი დაუტანია სახლსა და თან შერჩენია ერთი ბუთილკა ნაშარაფი, რომელიცა სჭერია ჴელში, ამ ნაშარაფით დანგრეულ-დაქცეულის სახლის ქვეშ დაურჩენია თავი ექვსი დღე, და რაკი გამოლევია, უგრძვნია სიკვდილის მოახლოვება სიმშილისა გამო, აუღია ქუა და ქჳსათჳს იმდენი უცია, ვიდრე გამომხდარა კმა გარეთ და შეუტყვია ხალხსა, რომელსაცა მიუგვნია და ამოუყვანია. ამ ჩემოხსენებულს ქალაქების გარემო სოფელში ხომ ვინ აღწერს რამდენი ათასნი კაცნი დანთქომილან სახლების ქვეშ. შემწეობის მიცემა ამ გვარ შემთხვევაში ყველამ ვიცით რომ არ შეიძლება ყოველგან, ამისთჳს რომ აქამომდენ ჯვალად ირყევა მიწა, ამ ხუთ ქალაქის

გარდა, კვალად მიწასთან გასწორებულია თექვსმეტი სოფელი. ვეზუვიის ცეცხლის მთის ახლო-მახლო მაწითგან, მიწის-ძვრის წინათ შეუნიშნავთ, რომ ამოდენილა კვამლი, ამაზედ იშიშვიან ვეზუვის მთისაგან, რომ არ მოახვდინოს კვალად უბედურობა. ყოველთ უბედურებაზედ, რომელნიც მომხვდარან ადრე, ახლანდელი უბედურება მეტობს. წინამძღვარი ერთის მონასტრისა, იწერება რომ, იმის ველქვეითნი ხუთნი მონასტერნი სრულებით დანგრეულან და შიგ მყოფნი მამანიც დაუტანია სრულებით ისე, რომ არცა თუ ერთი მორჩენია ამ უბედურებას. ვეზუვის ახლო-მახლო, თუ რამ სადმე წყალი ყოფილა სრულებით დაშრალა, ეს მოასწავებს მთის გასქდომასა და ცეცხლის გამოხდომასა. შვიდმეტს დეკემბერითგან ნეაპოლის ქალაქში ოთხმოცჯერ შერყეულა მიწა.—

---

## მოლაყბისადმი

პატივ-საცემო «ცისკრის» მოდევაწეო! ჩუენის სანუგეშოს ენის «ცისაარ-შიდ» თჳთ ითქმის, უსშირესად ვჰპოვე უვედრება მიქცეული საზოგადოებისადმი ჩუენისა, ვითომც გულგრილობისათჳს შეწევნად ამა დევაწლისად. თანახმა ვარ, რომელ ნამდვილ ვართ ჩუენ ღირსნი უვედრებისანი, ვინათგან ჰსჯით თქუენ ესრედ, ვითარცა ეშესაბამების კაცსა მხურვალედ მიურდნობილსა სიყვარულისადმი მამულისა და მამასისამე [illegible] ა მის, რასაცა მალუძს არა[illegible] ადმა-

დღება, არამედ რაოდენიმე წარმოჩენაჲცა სამშობლოჲსა ღირსებისა. ჩემის მხრით და ვჰგონებ მრავალნიცა სხუანი ჩუენთანა არათუ ოდენ მივიღებთ ამა უკედ-რებასა თავის თავზედ, არამედ სრულის მადლობით ვაქებთ გულმტკივნეულობასა თქუენსა ნაკლულევანე-ბათა-თჳს ჩუენ შორის აწ დანახულთა, ხოლო მო-ტევებაჲ მომატებულთა სიტყუათათჳს, უკეთუ ჩუენგანი ვინმე ჰპოვებს ესრეთს ამა წრთვნასა შორის, არის უკუჱ უქუჱნაესი ხარისხი მადლობისა.

იმედი მაქუს მე, ესრედ მგრძნობელს ნებასა მომ-ცემთ ვსთქუა რაოდენიმე სიტყუანი, რომელთაცა მა-ღლეუასთ შენდობისა მოთხოვნა და მით განიოდნენ მაინც აღამჩატონ ღირსეულად მოქცეული ჩუენდა-მო კმა უჩუჱდრებისა:

იცით, რომელ დრო მართავს ყოველსავე და უკეთუ ყოველსავე, უეჭველია ჰაზრსაცა კაცობრივთა; ზო-გადისა ამის კანონისაებრ რასაკვირველია ჩუენცა ვართ შემდეგნი დროჲსანი. — დრონი დაუდგრომელ იყვნენ, არიან და იქნებიან, ეგ სახედვე კაცობრივი წინა-გამზომელობაჲცა, ვარნა საყვარელი მამუ-ლისა, საგანი ყოველს ხალხს და ყოველთ დროთ შინა შეუწყუეველად, მარადის მგიე, არა შესდის საზღვართა შორის ცვალებათასა მით, რამეთუ იგი თჳთ დროთაცა შეუსრავს, ვარნა (ბევრი ვარნა არ მიზრახოთ!) ურმა-ჩჩვილი, ჯერ უცხო ყოვლისა სწავლისაგანცა, საყვარელით მიეყრდნობის მას, რაჲსაც ჰზრდის მას, ესე იგი მუძუთი მიმახსათა; ბუნებით უმანკო და მოყვარული, იგი არა რაცხს

მოვალეობადცა უყვარდეს მშობელი თჳსი დედა ესრედ, ვითარ მზრდელნი ძუძუნი, ხოლო ოდეს მოიწიფოს ჭაბუკსა გონიერებისასა, მაშინ იცის მან შემსგავსებული პატივი მამისა, არამედ უმეტესად სიყვარული ბუნებისა, რომელმანცა წარმოაჩინა და იგი ქუწყანად. ესე მისთჳს ვსთქჳ, რათა შევე[illegible]-ცხოთ ჩუენცა ჩჩჳლად მამულისათჳს, რამეთუ მა-წოებული მამა და განმსწავლული მძუძე მრავალად დამამშვრალნი ჩუენის აღზრდისათჳს წარგვავლენენ აწ ოდენ მშობელთადმი. მამული სახლი მიგვითვა-ლავს რა აღმზრდელთაგან, გვამცნებს პირველად, რათა ამა უკანასკნელთადმი დავიცვათ ვალი, უსაზღვ-როებსა მადლობისა აღსასრულადმდე და შემდეგ ვი-ცნათ რა მკვიდრი სახლი, შევიყუაროთ იგი ყოვლითა ძალითა; და აჰა დრო ჩუენისა აწმყოებსა ჭაბუკისა. — ნაკლულევანება შორის ამა ორთა შორის-შორთა საზღვართა არა არს დიდი უმეტესობისა უკე-დრებისა, მსგავსად ამისა არცა მცირე დრო აღმო-სვლიდამ ჩუენის ენის- ცისკრისა არა ეგოდენ სასტიკ არს, რათა ჩუენთა გრძნობისა მადლისათა მოგუთხოვს შეურნდობლად აღმოსთოფა რიყრაყსა ოდენ მისსა, ვი-ნაჲთგან რომელნიმე უკუე აღუწმართენით, რომელნიმე ძილსა შორის ჯერეთ კიდევ ვჰედავთ, რეცა თუ ოცნებად განთიადსა და სხუათა განვაადვიმებს თჳს დროზედ ბრწყინვალებისა, სხივი და სიცხე მზისა, გა-რნა ვიმედოვნებთ რომელ, ხოვადსა მოფენას მზისასა ვჰპოვებთ ყოველთა უცილობელად.

აჰა ბოლოში ჩუენთა ნაკლულევანებათა და იმედი თქუენთა დიაწყლთა ნუგეშინის ცემისა. —

თ. ირაკლი ლორთქიფანიძე.

სხჳა და სხჳა ამბავი:

მიწის ძჳრა იტალიაში.

მოლაყბისადმი. . . . . . თ. ირაკ. ლორთქიფანიძისა.

«ც ი ს კ ა რ ი» 1858 წელსა გამოიცემა პირველს რიცხვზე ყოველის თვისას, წიგნი და წიგნი, ხუთის ფურცლიდამ რვამდის.

---

## ფასი ერთის წლის გამოცემისა:

ქ. თბილის-ში, გაუ-გზავნელად ექვსი მანეთი თეთრი ფული.

შინ. მიწოდებით ანუ სხვა ადგილებში გა-გზავნით: შვიდი მანეთი თეთრი ფული.

---

## ჴელი მოსწერდება:

ქ. თბილის-ში, ქართულის ჟურნალის «ც ი ს კ ა რ ი ს» რედაქციაში, კნიაზ ალექსანდრე ვახტა-ნგის-ძის ჯამბაკურიან-ორბელიანის სახლში.

---